ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

შაბათი – კვირა, 16 – 17 აპრილი, 2016

№90 (7016)

ფასი: 50 თეთრი

ევროპაში რიგითი ტურია

გვ.9

სტატისტიკა, ფსონები

16.04	ხეტაფე-რეალი	9.0	5.5	1.3
16.04	ბაიერნი-შალკე	1.18	7.5	13.0
16.04	ინტერი-ნაპოლი	2.7	3.25	2.62
17.04	ლესტერი-ვესტ ჰემი	1.91	3.5	4.0
17.04	არსენალი-კრ.პალასი	1.35	4.8	9.0
17.04	სევილია-დეპორტივო	1.44	4.6	6.5
17.04	ბარსელონა-ვალენსია	1.12	8.5	19.0
17.04	დორტმუნდი-ჰამბურგი	1.3	5.0	11.0
17.04	მაინცი-კიოლნი	2.15	3.3	3.4
17.04	ატალანტა-რომა	4.8	3.6	1.75
17.04	სამპდორია-მილანი	2.9	3.25	2.45
17.04	ნანტი-მონპელიე	2.4	3.1	3.1
17.04	რენი-გენგამი	1.91	3.5	4.0
17.04	მონაკო-მარსელი	2.15	3.3	3.4
18.04	სტოკი-ტოტენჰემი	4.4	3.5	1.83

გიორგი კანდელაკი: „ვოლსკი ცემით დამემუქრა“

„ვიტყვი იმას, რასაც ვფიქრობ და ვერც მისი ულირსი მუქარა, ცხადია, ვერ შემაშინებს. კომპარტიის ცეკას ინსტრუქტორების დრო საქართველოში სამუდამოდ დასრულდება წელს, ოქტომბერში. საქართველო იქნება დამოუკიდებელი, მდიდარი და წარმატებული ქვეყანა“

გვ.2

ლადო სადღობელაშვილი დავით ზურაბიშვილს თავზე კოლგოტკის ჩამოცმით ემუქრება



„მირჩევნია, ციხეში წავიდე, ვიდრე ამ სოროსელის ლანძღვა ავიტანო“

გვ.4

კახა კოქორიძე: „საარჩევნო კამპანია მაისის მეორე ნახევრიდან უნდა დაიწყოს“

გვ.3

„ნუთუ ქვეყანას არ ულირს, გადაიხადოს 800 ათასი ლარით მეტი იმაში, რომ საქართველოს მოქალაქეებმა უკეთესი არჩევანი გააკეთონ?“

„ამერიკამ საქართველოში ხელისუფლების შეცვლას მწვანე შუქი აუნთო“

გვ.4

ნიკოლოზ მჟავანაძე: „სააკაშვილმა დასაჭერი ხალხის სია უკვე შეადგინა“

გია ცაგარეიშვილი: „პრემიერმა მთელი პასუხისმგებლობა პრეზიდენტს დააკისრა“

გვ.3

ISSN 1987-9385

გიორგი კანდელაკი: „ვოლსკი ცემით დამემუქრა“

შორენა მარსაგიშვილი

15 აპრილს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მოვლენები საინტერესოდ განვითარდა. დეპუტატებს ერთმანეთი არ უცემიათ, მაგრამ, როგორც გიორგი კანდელაკი იუწყება, „პრავების კაჩავს“ ჰქონდა ადგილი.

ექსცესების გარეშე არც ბიუროს სხდომას ჩაუვლია. ნაციონალებმა თავი ვახტანგ გომელაურის გამო გაინერვიულეს, არადა, იცოდნენ, რომ სუსის უფროსი პარლამენტში 15 აპრილს ვერ მივიდოდა.

ყველაზე ხმამაღლა და თეატრალურად გია ბარამიძე ნერვიულობდა. ბოლოს ისე შეიჭრა როლებში, მანანა კობახიძე შეშფოთდა და განწირული ხმით იყვირა, ვინმეს დამამშვიდებელი არ გაქვთ? დაალევინეთო.

პლენარულ სხდომაზე „სისხლის სამართლის კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებების პროექტის განიხილავდნენ, რომელიც პირადი და ოჯახური საიდუმლოს ხელყოფის ფაქტზე პასუხისმგებლობის გამკაცრებას ითვალისწინებს.

ამ კანონპროექტის მიმართ განსაკუთრებულ დაინტერესებას ნაცმოძრაობა იჩენდა. მათი ინტერესის მიმართ სერიოზული ეჭვები გაუჩნდა უმრავლესობის დეპუტატ გიგა ბუკიას.

მისი თქმით, ამ თემაზე ნაციონალები საერთოდ არ უნდა იღებდნენ ხმას,

რადგან სწორედ მათ დაუდეს საფუძველი მავნე პრაქტიკას.

– ეს ხომ ის ხალხია, რომელმაც შექმნა, დაუკვეთა და გაავრცელა, ერთმანეთსაც იწერდნენ და, აქედან გამომდინარე, ცოტა მიკვირს ჩემი კოლეგების ეს აღშფოთება, რატომ გიკვირთ, რომ მათ ეს არ აინტერესებთ, – განაცხადა ბუკიამ.

ამის შემდეგ მან ჩიორა თაქთაქიშვილი და გიორგი კანდელაკი კომკავშირლებს შეადარა.

– ისინი წლების წინ ლენინსაც გულმხურვალედ დაუკრავდნენ ტაშს, – სერიოზული სახითა და დამაჯერებელი ტონით განაცხადა დეპუტატმა.

ახალგაზრდა კოლეგების დასაცავად თავი შედარებით ასაკოვანმა დავით დარჩიაშვილმა გამოიდო.

მან მეოცნებეებს ურჩია, სხვების კომკავშირულ წარსულზე საუბარს თავი დაანებონ, რადგან „ოცნებაში“ ექსკომკავშირლები მრავლად არიან.

– გარკვეული ასაკის ადამიანებს, რომლებიც პარლამენტში არიან, რა თქმა უნდა, კომკავშირთან შეხება ჰქონდათ, იმიტომ, რომ ის ტოტალური ორგანიზაცია იყო და გახსოვთ ეს. პატარა სოციოლოგიური კვლევა რომ ჩაატაროს ბატონმა გიგამ, დამერწმუნეთ, ნახავს, რომ ჩვენ და თქვენ მხარეს კომკავშირთან შეხების მქონე ადამიანებს შორის არის სხვაობა და თქვენ მხარეს უფრო მეტია. ბატონი გიგას კოლეგებს შორის კომკავშირული წარსული უფრო მეტს აქვს, ვიდრე ჩვენ შორის, – განაცხადა დავით დარჩიაშვილმა.

დეპუტატმა ნუკრი ქანთარიამ ნაციონალების დაზაფვრა ცადა. მისი თქმით, მათ ძალიან სერიოზული პრობლემები შეექმნებათ კადრებთან დაკავშირებით.

– მთლიანად ვერ მოვხსნით, მაგრამ მაინც გარკვეული შიში ჰქონდეთ იმ თქვენს რეჟისორებს, ასისტენტებს, ოპერატორებსა თუ გამავრცელებლებს, რომ ადრე თუ გვიან, ნამდვილად რომ მიუკაკუნებენ, გამოათრევენ და ჩამოათრევენ, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უფრო მეტ ხანს ყოფნის საშუალება მიეცეთ.

არავინ ამბობს იმას, რომ ეს

საბოლოოდ გააქრობს იმ მადას, რომელიც თქვენს კოლეგებს, გაბნეულებს სხვადასხვა ქვეყანაში, აქვთ. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ დოკუმენტური ფილმების სტუდიის დირექტორი ოდესაშია.

მათ მოუვიდათ თავში, რომ გაცილებით უკეთესია, თუ აჩვენებთ კადრებს ადამიანს და ეტყვით, აი, რაც აქ არის, ის მოგივა შენ ან შენი ოჯახის წევრებს, ან რაც გაგიკეთებია, ამას გამოვიტან საჯაროდ, თუ შენ ალიკაპს არ აიკრავ. საკმაოდ კარგად ასრულებდით ამ მოვალეობებს და შეიქმნა მართლაც მთელი ინდუსტრია, ერთი მხრივ, საშინელებათა და, მეორე მხრივ, პორნოინდუსტრია, – განაცხადა ქანთარიამ.

უფრო მწვავედ განვითარდა მოვლენები გია ვოლსკისა და გიორგი კანდელაკს შორის. კანდელაკს თუ დაეჯერება, ფრაქცია „ქართული ოცნების“ ლიდერი მას ცხვირში მორტყმით დაემუქრა.

ამის გამო კანდელაკი აღშფოთდა, მაგრამ ფეისბუქიდან ამაყად გვაუწყა, რომ ცეკას ყოფილი ინსტრუქტორი მას ვერ შეაშინებს.

– ბატონ გია ვოლსკის სწყენია, რომ მე იგი პრორუსულ პოლიტიკოსად მოვიხსენიე. დღეს ლუკა კურტანიძესთან ერთად მოვიდა და პირდაპირ „პრავების კაჩავი“ დამიწყო ჭეშმარიტ ძველბიჭურ სტილში. მე მას განვუმარტე, რომ ნამდვილად არ მივიჩნევ პროდასავლურ პოლიტიკოსად და მიმაჩნია, რომ არაპროდასავლურობა ავტომატურად პრორუსულობას ნიშნავს (ასე არ ვთვლიო მეო, კიდევ ერთხელ აღიარა). შემდეგ ბატონი ვოლსკი გადავიდა ხელების შლაზე და ჩემთვის იმის ახსნაზე, რომ თურმე სანამ მის შესახებ ვისაუბრებ, „კარგად უნდა დავფიქრდე“, „წინააღმდეგ შემთხვევაში კი ცხვირში მომხვდება“.

მე მას ვუთხარი, რომ ნამდვილად არ ვთვლი პროდასავლურ პოლიტიკოსად და ვიტყვი იმას, რასაც ვფიქრობ და ვერც მისი ულირსი მუქარა, ცხადია, ვერ შემაშინებს. კომპარტიის ცეკას ინსტრუქტორების დრო საქართველოში სამუდამოდ დასრულდება წელს, ოქტომბერში. საქართველო იქნება დამოუკიდებელი, მდიდარი და წარმატებული ქვეყანა, – წერს კანდელაკი სოციალურ ქსელში.

როგორ აფასებენ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშს საქართველოში

აშშ-ის დეპარტამენტის ანგარიში 2015 წელს ადამიანის უფლებათა მდგომარეობას ასახავს და აფასებს საქართველოში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მართლმსაჯულების ხარვეზებს, ხელისუფლების დამოკიდებულებას ოპოზიციის მიმართ, სასამართლოს შერჩევით დამოკიდებულებებს ზოგიერთი საქმისადმი, გაჭიანურებულ გამოძიებას, ძალადობის შემთხვევებს, ქალების, რელიგიური, ეთნიკური და სექსუალური უმცირესობის მიმართ დამოკიდებულებებს, დისკრიმინაციის წინააღმდეგ არასაკმარის ძალისხმევას, მედიაზე ზეწოლის შემთხვევებს და, რა თქმა უნდა, გადაადგილების უფლების შეზღუდვას საქართველოს მოქალაქეებისთვის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, რაც ცხინვალის ციხეში მშვიდობიანი მოსახლეობის ტყვეობით სრულდება.

რადიოსადგურმა „ამერიკის ხმამ“ სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის შეფასება პარლამენტარს, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ხელმძღვანელს ლევან ბერძენიშვილს სთხოვა, რომელმაც განაცხადა:

– ჩვენ უნდა გვესმოდეს მემკვიდრეობითობა. არ შეიძლება, ახლანდელმა ხელისუფლებამ თქვას, რომ 2012 წლამდე ცუდად იყო საქმე და ახლა კარგადაა. იმიტომ რომ სწორედ, 2012 წლამდე რაც ხდებოდა, დასკვნების სწორედ იქიდან გამოტანაზეა საუბარი და ცვლილებებზე. სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში პოზიტიურ ცვლილებებს შორისაა სასჯელაღსრულების სისტემაში ახალი დაწესებულების გახსნა, პატიმრებისთვის ჯანდაცვისა და სხვა სერვისების გაუმჯობესებაც დადებითადაა შეფასებული, სიკვდილიანობის მაჩვენებელი რადიკალურად შემცირებულია და ეს, რა თქმა უნდა, აღნიშნულია. ამდენი პოზიტივის გარდა, რა თქმა უნდა, გაცილებით მნიშვნელოვნად და სერიოზულადაა შენიშვნები წარმოდგენილი. უპირველესად ყოვლისა, პრესის თავისუფლების შესახებ შენიშვნები მიმაჩნია მნიშვნელოვნად. მოყვანილია სასამართლოს პირველი ინსტანციის მიერ დაშვებული ხარვეზები, რასაც თავის დროზე ჩვენც არ ვეთანხმებოდით, მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობაში ვიყავით. მოსამართლემ ისეთი რამ ჩაიდინა, რომლის შემდგომ სრულიად გასაგები გახდა სახელმწიფოს არასწორი დაინტერესება ამ საკითხებით. ამის შემდგომ ჩაერია საკონსტიტუციო სასამართლო და შედარებით, გამოსწორდა სიტუაცია, შემცირდა ტემპები. ძალიან სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა „რუსთავი 2“-ის შინაარსის ცვლილებების მოთხოვნები. მადლობა ღმერთს, ეს ყველაფერი კი გამოსწორდა, მაგრამ სიტუაცია, ბუნებრივია, აისახა სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში. სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება ამ მხრივ საკმაოდ მკაცრია და სიტყვა სიტყვით იმეორებს იმ ბრალდებებს, რასაც ოპოზიცია უყენებს ხელისუფლებას. ხანდახან, ზოგიერთ შემთხვევაში, მე ვფიქრობ, დეპარტამენტი ვერ ითვალისწინებს რეალურ მდგომარეობას, იმიტომ რომ, შეცდომები, რომელიც სასამართლო სისტემაში იყო დაშვებული მიაჩნია უფრო მნიშვნელოვნად, ვიდრე ის, რაც მერე გაკეთდა გამოსწორების მიმართულებით. ამავე დროს, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს საქმე არასდროს არ უნდა იყოს განხილული, ანუ ვის მფლობელობაში უნდა იყოს „რუსთავი 2“, ეს, ამ დასკვნის მიხედვით, თითქოს არაა მნიშვნელოვანი ანუ თუ დაირღვა ვინმეს უფლებები, ეს თითქოს არ უნდა გამოვიძოთ, რაც მაინცდამაინც არ არის გონივრული და არ გვაძლევს საშუალებას, ბოლომდე გავითვალისწინოთ შენიშვნები, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია.

ის, რომ დღეს საქართველოში მედია მეტ-ნაკლებად თავისუფალია, ფაქტია. ყველა შემთხვევა სახელმწიფოს მხრიდან მედიაზე ზეწოლის მცდელობისა უნდა იყოს აღკვეთილი. მაგრამ სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში არის აშკარა მიკერძოება წინა ხელისუფლების მიმართ და ამას ვერავინ დამალავს. ეს შეიძლება არის დღევანდელი ხელისუფლების შეცდომა, რომელიც ვერ ახერხებს ამის ახსნას, მაგრამ, ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს შეცდომებზე მე უკვე მოგახსენეთ, მე მაინც მეჩვენება, რომ ეს ნაწილი ყველაზე ობიექტურად არ აქვს საერთაშორისო თანამეგობრობას გააზრებული. მეტისმეტად მაღალია ნდობა იმ ადამიანების მიმართ, რომლებსაც მთელი სისტემები ჯიბეში ჰქონდათ ჩადებული წლების განმავლობაში.

„ამერიკის ხმასთან“ საუბრისას „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენელმა ერეკლე ურუშაძემ განაცხადა, რომ აშშ-ის დეპარტამენტის ანგარიშის ის ნაწილი, სადაც მმართველობის ზედა ეშელონების კორუფციულობაზეა საუბარი, ემთხვევა მისი ორგანიზაციის შეფასებებს, რაც წლების განმავლობაში ქვეყნდება.

ერეკლე ურუშაძე:

– ანგარიშში აქცენტი მაღალი თანამდებობის პირების საქმიანობაზე და შესაძლო კორუფციული ფაქტების გამოძიებაზეა და ჩვენც ამას ვამბობთ, რომ დღეს არსებული სისტემით არ არსებობს ეფექტური, ძლიერი ინსტიტუტები, რომლებსაც შეუძლიათ მაღალი თანამდებობის პირების მიერ ჩადენილი შესაძლო დარღვევების გამოძიება კორუფციის კუთხით. ესაა ინსტიტუციური მოწყობის ხარვეზი ანუ ის, რომ არ არის ეფექტიანი ანტიკორუფციული ინსტიტუტი, როგორც ასეთი, დამოუკიდებელი ორგანო საქართველოში. დღეის მდგომარეობით, არსებულ სამართალდამცავ სტრუქტურებს შორისაა გადანაწილებული ეს ვალდებულება, თუმცა მათი პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხარისხი დაბალია და ამიტომ საქმეების ეფექტურად გამოძიება მათ არ შეუძლიათ იმ შემთხვევაში, როდესაც მაღალი თანამდებობის პირებს ეხება საქმე.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ყოველწლიურად აქვეყნებს ანგარიშს ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ სხვადასხვა ქვეყანაში.

ნიუსპრესი

აშშ-ის საელჩო იან კელის წინააღმდეგ მიმართულ მუქარაზე რეაგირების შესახებ განცხადებას ავრცელებს

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო ელჩ იან კელის წინააღმდეგ მიმართულ მუქარაზე რეაგირების შესახებ განცხადებას ავრცელებს. როგორც საელჩოს ვებგვერდზე გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, აშშ-ის საელჩო აფასებს, თუ როგორი სერიოზულობით მოეკიდა საქართველოს ხელისუფლება, მათ შორის მთავარი პროკურორის ოფისი, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახური და შინაგან საქმეთა სამინისტრო ელჩ კელის წინააღმდეგ მიმართულ მუქარას.

– საერთაშორისო შეთანხმებებით დაცული პირის წინააღმდეგ მუქარის საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება. ამიტომ აშშ-ის საელჩოს დამატებითი კომენტარის გაკეთება არ შეუძლია, – ნათქვამია განცხადებაში.

თბილისის ფორუმის ერთ-ერთ მომხმარებელს, სულხან წულაძეს, ამერიკის ელჩის მისამართით ინტერნეტ-ფორუმზე გაკეთებული განცხადების გამო სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ დაკავებულის ძმამ, გიორგი წულაძემ განუცხადა, სულხან წულაძემ ინერნეტ-ფორუმზე „სახუმარო თემა“ შექმნა და დაწერა, რომ გეგმავდა აშშ-ის ელჩისა და საელჩოს წინააღმდეგ ტერაქტს, რის შემდეგაც 12 აპრილს სამართალდამცველებმა დააკავეს.

სულხან წულაძე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 326-ე მუხლით არის დაკავებული, რაც საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირზე ან დაწესებულებაზე თავდასხმას გულისხმობს.

დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში ფორუმის მომხმარებელს შვიდიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

კახა კოჟორიძე: „საარჩევნო კამპანია მაისის მეორე ნახევრიდან უნდა დაიწყოს“

„ნუთუ ქვეყანას არ უღირს, გადაიხადოს 800 ათასი ლარით მეტი იმაში, რომ საქართველოს მოქალაქეებმა უკეთესი არჩევანი გააკეთონ?“

ნონა ცაბაძე

ჰას ედავება მთავრობა პრეზიდენტს? ჰატომ დაუწუნეს გადაწყვეტილება, ჰომელიც პრემიერთან იყო შეთანხმებული? ჰოგოჰია პრეზიდენტის პოზიცია წინასაარჩევნო კამპანიის თარიღთან დაკავშირებით? ვინ მოახვია პრეზიდენტს თავს, ჰომ 8 აგვისტოს დაწყებულიყო წინასაარჩევნო კამპანია? „ახალი თაობის" ამ და სხვა კითხვებს პრეზიდენტის მრჩეველი კახა კოჟორიძე პასუხობს.

– რას ედავებიან პრეზიდენტს?

– მე მაგაზე როგორ გიპასუხოთ, ეს იმათ უნდა ჰკითხოთ, ვინც ამ განცხადებებს აკეთებს. ნაჩქარევი ნამდვილად არ იყო ის, რომ პრეზიდენტმა თქვა, მაისის დასაწყისში გამოცემ აქტსო. მართალია, ეს განცხადება გაკეთდა პრემიერის განცხადებიდან რამდენიმე საათში, მაგრამ ეს თემა, კარგად იცით, ბოლო დღეების განმავლობაში არის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემა და ჩვენ მთელი ამ დროის განმავლობაში გავაანალიზეთ ყველა ის არგუმენტი, რომლებიც მოვისმინეთ პოლიტიკური პარტიების, სამოქალაქო საზოგადოებისა თუ სხვა ნებისმიერი აქტორის მხრიდან. აქედან გამომდინარე, ნაჩქარევი ნამდვილად არ იყო.

– წინასაარჩევნო კამპანიის 8 აგვისტოს დაწყებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება ოპოზიცია. როდის უნდა დაიწყოს, 8 აგვისტოს თუ 8 ივლისს?

– რა არის ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ინტერესი ამ არჩევნებთან დაკავშირებით?! ეს არჩევნები ყველა ადრინდელ არჩევნებზე უკეთესი უნდა იყოს, სადაც ამომრჩეველი კეთილსა და ბოროტს შორის კი არ გააკეთებს არჩევანს, როგორც ეს ადრე ხდებოდა. არამედ, კარგად გაიაზრებს თითოეული პოლიტიკური პარტიის საარჩევნო პროგრამას, კარგად გააანალიზებს, უფრო რეალისტური რომელია, რომელი უფრო კარგად მოაგვარებს იმ ყოველდღიურ პრობლემებს, რომლებიც საქართველოს მოქალაქეებს უდგათ დღის წესრიგში და ამის შემდეგ მიიღებს კარგად გაანალიზებულ გადაწყვეტილებას.

– თქვენ მიდიხართ იქითკენ, რომ ამისთვის მეტი დროა საჭირო?

– რასაკვირველია და ვერავინ შემედავება იმაზე, რომ ხუთი თვე სჯობია სამ თვეს იმისთვის, რომ ამომრჩეველმა უკეთესი არჩევანი გააკეთოს. გარდა ამისა, თავად პოლიტიკურ პარტიებსაც სჭირდებათ დრო იმისთვის, რომ საარჩევნო კამპანია კარგად დაგეგმონ და აწარმოონ. კიდევ დამატებითი არგუმენტი არის ის, რომ საარჩევნო კამპანიის დაწყების შემდეგ საჯარო მოხელეებს საარჩევნო კანონმდებლობა აკისრებს ნეიტრალიტეტის დაცვას, სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებას.

– რას ნიშნავს ეს?

– ეს ნიშნავს იმას, რომ, მაგალითად, თუ თბილისის მერია გადაწყვეტს, თბილისის მერიის შენობა დაუთმოს „ქართულ ოცნებას“ მოქალაქეებთან შეხვედრის მიზნით, საარჩევნო კამპანია როგორც კი დაიწყება, ანალოგიური ვალდებულება თბილისის მერიას ექნება ნებისმიერი სხვა პოლიტიკური სუბიექტის მიმართაც. ახლა ეს ვალდებულება არ აქვს და ის საარჩევნო კამპანიის დაწყებისას წარმოეშობა. საჯარო მოხელეებს წარმოეშობათ ვალდებულება, რომ რა პრივილეგიასაც მიანიჭებენ კონკრეტულ პოლიტიკურ სუბიექტს, სხვებიც ასარგებლონ იმავე პრივილეგიებით.

– ანუ სამართლიანი მიდგომა იყოს?

– ცხადია, სამართლიანი გარემოს შექმნაა ჩვენი სურვილი და ყველა პოლიტიკურ პარტიას უნდა ჰქონდეს ამომრჩეველთან ურთიერთობისა და საკუთარი პოლიტიკური ხედვების პრეზენტაციის თანაბარი შესაძლებლობა.

– რატომ უწოდა ოპოზიციის დიდმა ნაწილმა პრეზიდენტის გადაწყვეტილებას არაადეკვატური? ეს შეთანხმება ხომ პრემიერსა და პრეზიდენტს შორის მოხდა და სწორედ ამის შემდეგ გაკეთდა განცხადება? რატომ ბრალდება მხოლოდ პრეზიდენტს?

– არ ვიცი, ალბათ, მათ უნდა ჰკითხოთ. მე რასაც ვაკვირდები, სამწუხაროდ, ეს მხოლოდ დღევანდელ პერიოდს არ ეხება. არის ხოლმე ხშირად, როდესაც პირადად მე მრჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ რიგი პოლიტიკოსები საკუთარ პოლიტიკურ და პარტიულ მიზნებს აყენებენ წინა პლანზე და არ უყურებენ ქვეყნის ინტერესებს. როდესაც ასეთი მიდგომაა, სწორედ მაშინ კეთება გაუგებარი განცხადებები, ისეთი, როგორიც მოცემულ შემთხვევაში ჩვენ ვიხილეთ არაერთი.

– ოპოზიცია გასაგებია, მაგრამ პრემიერ-მინისტრის განცხადებებზე რას იტყვით? რატომ გააკრიტიკა პრეზიდენტი, რატომ დაუწუნა გადაწყვეტილება? ეს ხომ მასთან შეთანხმების საფუძველზე გაკეთდა. რა მოხდა, რა დაიწუნა პრემიერმა?

– პრემიერ-მინისტრმა დაიწუნა ის, რაც იყო შეთანხმებული თავიდან ბოლომდე საქართველოს მთავრობასთან. უფრო მეტიც, არათუ შეთანხმებული, არამედ 8 აგვისტო არ ყოფილა არც პრეზიდენტისა და არც პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინიციატივა, რომ ჩაწერილიყო 8 აგვისტო. ეს სწორედ მათი ინიციატივა იყო იმ მიზნით, რომ კონსტრუქციული ურთიერთობები დამყარებულიყო ყველასთან და კონსტრუქციული საარჩევნო გარემო ყოფილიყო, პრეზიდენტი ამაზე დათანხმდა.

– თუ ეს არაკანონიერი იყო, დრო არასაკმარისი იყო, რატომ დათანხმდა პრეზიდენტი ამ თარიღს?

– პრეზიდენტს იმ შეხვედრაზე აუხსნეს, რომ ბიუჯეტს არ შეეძლო, გაორმაგებული ადმინისტრაციის ხარჯები გაეღო ორ თვეზე უფრო ადრე ვადით. ეს იყო მთავრობის ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი. შემდეგ კი გაირკვა, რომ ბიუჯეტს ეს შეუძლია. ორი თვის მაგივრად შემდეგ სამი თვე ითქვა. ასევე შემდეგ შეხვედრაზე, რომელსაც მეც ვესწრებოდი, რომელიც პარლამენტში შედგა და მას ესწრებოდა პარლამენტის თავმჯდომარე, ცესკოს თავმჯდომარე და რამდენიმე დეპუტატი, ასევე მთავრობის წარმომადგენელი, ცესკომ თქვა, რომ ადმინისტრირების ხარჯი არის 400 ათასი ლარი თვეში. სამ თვესა და ხუთ თვეს შორის განსხვავება ორი თვეა და თანხა გამოდის 800 ათასი. აქედან გამომდინარე, მე ვსვამ რიტორიკულ შეკითხვას, რომელზეც ვერავინ მპასუხობს და ვერც მიპასუხებს.

– რაში მდგომარეობს თქვენი კითხვა?

– ნუთუ ქვეყანას არ უღირს, გადაიხადოს 800 ათასი ლარით მეტი იმაში, რომ საქართველოს მოქალაქეებმა გააკეთონ უკეთესი არჩევანი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი პარლამენტი ეყოლება ქვეყანას მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში?! ასევე, ვიცით ის, რომ პარლამენტი აყალიბებს მთავრობას. ეს არჩევნები მხოლოდ პარლამენტის არჩევნები კი არ არის, ეს არის პარალელურად მთავრობის არჩევნები არაპირდაპირი ფორმით. ნუთუ არ ღირს ამაში დამატებით 800 ათასი ლარის გადახდა?! მე მათი არგუმენტაცია ნამდვილად არ მესმის.

– გამოდის, რომ პრეზიდენტის მიერ გაჟღერებული თარიღი, 8 აგვისტო, მთავრობამ მოახვია თავზე?

– არ მინდა მაგ ტერმინების გამოყენება – მოახვია და ასე შემდეგ.

– ასე რომ გამოდის?

– ერთს გეტყვით, რომ ეს პრეზიდენტის ინიციატივა ნამდვილად არ ყოფილა!

– თქვენ მიგაჩნიათ, რომ ხუთი თვით ადრე უნდა დაიწყოს კამპანია? რა შესწორებები შევა უკან დაბრუნებულ დადგენილებაში?

– კი, მე ვიზიარებ იმას, რომ ამომრჩეველს უნდა ჰქონდეს მეტი დრო გაცნობიერებული და კარგად გააზრებული არჩევანის გასაკეთებლად.

ეს არჩევანი არ უნდა იყოს დაფუძნებული ისეთ პრინციპებზე, როგორც არის ხოლმე ჩვენთან, უაზრო ბრალდებებზე აგებული – ის ცუდია, ის სამჯერ განათხოვარია და რაღაც გაუგებარ ბრალდებებზე. მე დიდი სურვილი მაქვს, მოვისმინო პოლიტიკური პარტიების ღრმა, შინაარსიანი, არგუმენტირებული ხედვები, ამისთვის კი საჭიროა დრო!

– ხუთთვიანი ვადა პრობლემებს გამოიწვევს ქვეყანაშიო. ამაზე რას იტყვით?

– მე ვერც ამ მოსაზრებას დავეთანხმები და გავიზიარებ, რომ ხუთთვიანი ვადა თუ იქნება, ეს დიდ პრობლემას გამოიწვევს ეკონომიკის განვითარების მხრივ ან არასტაბილურ გარემოს შექმნის. აშშ-ში საარჩევნო კამპანია ერთ წელიწადზე მეტ ხანს გრძელდება და ეს პრობლემას არ ქმნის. ამომრჩევლის ინტერესების გათვალისწინებით კეთდება ჩვენი მხრიდან აქცენტი მეტ დროზე. სხვა რაიმე კერძო მიზანი პრეზიდენტს თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო არ შეიძლება ჰქონდეს, რომ ეს არ არის არც პრეზიდენტის და არც მისი პოლიტიკური გუნდის არჩევნები, თუმცა მას არც ჰყავს პოლიტიკური გუნდი. ერთადერთი მიზანი სახელმწიფოებრივი ინტერესია.

– რა გადაწყვიტა პრეზიდენტმა, რა თარიღს ჩაწერს, როდის დაიწყება წინასაარჩევნო კამპანია, მაისში თუ ივლისში?

– მაისში გამოიცემა აქტი, შემდეგ ეს აქტი გადაეგზავნება კონტრასიგნაციის მიზნით საქართველოს მთავრობას და მთავრობას ექნება გარკვეული დრო იმისთვის, რომ გააკეთოს კონტრასიგნაცია. თუ მთავრობა კონტრასიგნაციას მოახდენს და, იმედი მაქვს, ასე იქნება და ეს იქნება სწორი გადაწყვეტილება, მაშინ საარჩევნო კამპანია დაიწყება მაისის მეორე ნახევრიდან. თუ გავიაზრებთ იმას, რა ურჩევნია ქვეყანას, მაშინ სწორედ ასეთი გადაწყვეტილება იქნება მიღებული.

გია ცაგარეიშვილი: „პრემიერმა მთელი პასუხისმგებლობა პრეზიდენტს დააკისრა“

ნათია ხურცილავა

თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი გია ცაგარეიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ არჩევნების თარიღთან დაკავშირებით განვითარებულ მოვლენებზე პასუხისმგებლობა თანაბრად უნდა აიღონ პრეზიდენტმაც და პრემიერ-მინისტრმაც.

გია ცაგარეიშვილი:

– როდესაც პრემიერსა და პრეზიდენტს შორის პირველი შეთანხმება მოხდა არჩევნების თარიღის დანიშვნასთან დაკავშირებით, მაშინ თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. პრეზიდენტი მიბრძანდა მთავრობის კანცელარიაში, შეხვდა პრემიერს და მან გვითხრა, რომ ის დაარწმუნეს და არჩევნების თარიღიც დაინიშნა. მთავრობის კანცელარიიდან დაბრუნებულმა პრეზიდენტმა პრესკონფერენციაზე ხაზი გაუსვა არჩევნების თარიღის შეთანხმებას. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ახლა ხდება პრეზიდენტისთვის მთლიანად ამ დიდი გაუგებრობის გადაბრალება, რომ თითქოს ეს გადაწყვეტილება პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ერთპიროვნულად მიიღო და მთავრობა და მისი მეთაური აქ არაფერ შუაშია.

– თქვენ ფიქრობთ, გაუგებრობაა?

– ყველაფერი ერთად არის. გაუგებრობაც და ისიც, რომ არავის დაეკითხნენ. არ დაეკითხნენ კონსტიტუციონალისტებსა და სამართლის სპეციალისტებს. მთავრობა მოგვიანებით მიხვდა, რომ არჩევნების თარიღის გამოცხადება 6 თვით ადრე კანონმდებლობით განსაზღვრულ ბევრ ვალდებულებას პირველ რიგში ხელისუფლებისთვის გააცოცხლებდა. ამის გაცნობიერებამ ნელ-ნელა დაძაბა სიტუაცია. გამოსავლად კი პრემიერმა კვირიკაშვილმა მოიფიქრა ის, რომ ყველაფერი გადაებრალებინა პრეზიდენტისთვის და მთელი პასუხისმგებლობა მისთვის დაეკისრებინა.

ეს არის მცდელობა – მე არაფერ შუაში ვარ. ამან პრეზიდენტისა და მისი ადმინისტრაციის გაღიზიანება გამოიწვია. ეს ბუნებრივიც არის, რადგან შეთანხმება გულისხმობს წარმატებისა და წარუმატებლობის თანაბრად გაზიარებას.

– ვინ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა?

– პასუხისმგებლობა თანაბრად უნდა აიღონ პრეზიდენტმაც და პრემიერმაც, ეს იქნება ნორმალური და ერთად უნდა იპოვონ შექმნილი აბსურდიდან გამოსავალიც. მათ ერთად დაუშვეს შეცდომა. პრეზიდენტს მარტო რომ არ მიუღია გადაწყვეტილება არჩევნების თარიღის განსაზღვრასთან დაკავშირებით, ამაზე ის ვიდეოკადრიც მეტყველებს, რომელიც ასახავს პრეზიდენტის სტუმრობას პრემიერთან მთავრობის კანცელარიაში.

– შექმნილი ვითარება რამდენად შეგიშლით ხელს პოლიტიკურ ძალებს?

– ისედაც საკმაოდ დაძაბულ წინასაარჩევნო ვითარებას ეს გაურკვევლობაც ძაბავს. ცხადია, უკეთესი იქნებოდა, რომ პრეზიდენტსაც და პრემიერსაც იმ შეხვედრაზე დაებარებინათ ცესკოს წარმომადგენელი და არჩევნებში მონაწილე პარტიების წარმომადგენლები და ერთად გადაგვეწყვიტა ეს საკითხი. ეს ხომ იქნებოდა უფრო დემოკრატიული და უფრო სამართლიანი?!

კარების ჩაკეტვა ყოველთვის ამ შედეგებამდე მიგვიყვანს და ეს უნდა გააცნობიერონ. მთავრობის არაპროფესიონალიზმი სრულად გამოჩნდა. ეს იყო სამართლებრივი გაუნათლებლობა. საარჩევნო კოდექსი უნდა აეღოთ ხელში და წაეკითხათ იქ არსებული ჩანაწერი.

– პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მაისის დასაწყისში გამოსცემს ახალ განკარგულებას, რის კონტრასიგნირებას, ალბათ, პრემიერი არ მოახდენს. პროცესები შეიძლება კიდევ უფრო დაიძაბოს?

– ეს იქნება სავალალო, მაშინ ჩვენ შეიძლება სამართლებრივ კოლაფსამდე მივიდეთ, ეს კატასტროფა იქნება. ეს ვითარება დასაბუთებულ ეჭვებს გააჩენს, რომ „ქართულ ოცნებას“ ისღა დარჩენია, ადმინისტრაციული რესურსი გამოიყენოს იმისთვის, რომ რაღაცა დონის წარმატებას მიაღწიოს არჩევნებში.

– საიდან გაქვთ ეჭვი, რომ ადმინისტრაციულ რესურსს გამოიყენებს?

– ამაში ეჭვი არ მეპარება. თუ საპირისპიროს დამტკიცება უნდა ხელისუფლებას, მაშინ მაისის დასაწყისში დაიწყოს წინასაარჩევნო კამპანია და პრემიერმა ამ განკარგულების კონტრასიგნაცია მოახდინოს. ვიღაცისთვის ეს ადრეა, ვიღაცისთვის – არა.

– ბიუჯეტზეა საუბარი.

– გასაგებია, მაგრამ 29-მილიონიან კონცერტებს როდესაც ვმართავთ, მისი მესამედი არჩევნებზე მივმართოთ. მერწმუნეთ. დალაგებული საარჩევნო პროცესი უფრო მოეწონება ხალხს, ვიდრე ცნობილი შემსრულებლები სხვადასხვა ქალაქში.

ეს არ არის იაფფასიანი პოპულიზმი ჩემი მხრიდან. მე კარგი მომღერალიც მიყვარს და კარგი მუსიკაც, მაგრამ, როდესაც ბატონი პრემიერი ხელს აწერს 29 მილიონის გამოყოფას კონცერტებისთვის და იგივე პრემიერი აცხადებს, ფული არ გვაქვს არჩევნების ნორმალურად ჩასატარებლადო, ეს ყველაფერი არასერიოზულია. ასევე, ნუ გვავიწყდება პრეზიდენტის ნათქვამი, რომ თავისი სარეზერვო ფონდიდან შეეხიდება.

– თუმცა პრეზიდენტის ამ განცხადებასაც არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა, ითქვა, რომ სარეზერვო ფონდი არ არის მისი პირადი ფული.

– მე ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. უმრავლესობის ლიდერებმა აბსოლუტურად უკბილო განცხადებები გააკეთეს. პრემიერის სარეზერვო ფონდიდან 29 მილიონის გამოყოფა შეიძლება კონცერტებისთვის და პრეზიდენტმა არ შეიძლება, არჩევნებისთვის გამოყოს ფული?! ხვდებით, როგორ დგას საკითხი?! ეს ხომ არასერიოზულია.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

„ამერიკამ საქართველოში ხელისუფლების შეცვლას მწვანე შუქი აუნთო“

ნიკოლოზ მჟავანაძე: „სააკაშვილმა დასაჭერი ხალხის სია უკვე შეადგინა“

შორენა მარსაგიშვილი

ვინ გეგმავს საქართველოში საპროტესტო ტალღის აგორებას, ხა სიგნალი მოვიდა ამერიკიდან, ხა სიები გაამზადეს ნაციონალებმა? – ამის შესახებ „ახალ თაობას" უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრება.

ნიკოლოზ მჟავანაძე:

– საზოგადოებაში ენდიაის მიერ გამოქვეყნებულმა კვლევებმა დიდი გაკვირვება გამოიწვია. არადა, ამაში უცნაური არაფერი ყოფილა. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი ყოველთვის გამოირჩეოდა არაობიექტური და მიკერძოებული შეფასებებით. დავით ბაქრაძეს რომ ყველაზე რეიტინგულ პოლიტიკოსად გამოაცხადებ, მგონი, ამით ყველაფერი ნათქვამია, მაგრამ მთავარი სულ სხვა რამეა.

ენდიაი ამერიკის მთავრობის მიერ ფინანსდება და, შესაბამისად, მათ ინტერესებს ატარებს. ამ კვლევის შედეგებით ნათლად გამოჩნდა ვაშინგტონის პოზიცია საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მიმართ. ახლავე გეუბნებით, რომ არჩევნების წინ დადებულ კვლევაში სულ სხვა შედეგი იქნება და პარტიების რეიტინგში პირველ ადგილზე ნაციონალური მოძრაობა იქნება. რაც ზვიად გამსახურდიას და ედუარდ შევარდნაძეს გაუკეთეს, იმავეს გაუკეთებენ დღევანდელ ხელისუფლებას.

– თქვენი აზრით, გადატრიალებას უნდა ველოდოთ?

– ამის მცდელობა ნამდვილად ექნებათ. გავიხსენოთ, რა განცხადებები გაკეთდა 1991 წელს. ამბობდნენ, ზვიად გამსახურდია დინების საწინააღმდეგო მხარეს მიცურავსო. როცა მთავრობის სახლს ტყვიამფრქვევები ესროლეს, დასავლეთს ხმა არ ამოუღია. ეს დუმილი პუტჩისტებისთვის მწვანე შუქის ანთება იყო.

შევარდნაძე სანამ გადადგებოდა, მასთან სტუმრად ჩამოვიდა ჯეიმს ბეიკერი და წასვლა სთხოვა. ის მზად იყო წასასვლელად, ოღონდ მემკვიდრედ სხვა კანდიდატის დატოვება სურდა. ამ დროს კონსტიტუციური სივრციდან გავიდა სააკაშვილი და პირდაპირ ეთერში განაცხადა, თუ შევარდნაძე არ გადადგება, ძალას გამოვიყენებთო.

– რაში სჭირდება დასავლეთს ამ ხელისუფლების შეცვლა? ისინი თითქმის ყველა საკითხს დასავლეთს უთანხმებენ.

– რუსეთ-თურქეთის ომი გარდაუვალია. ამ ვითარებაში დასავლეთს საქართველოში არ სჭირდება ისეთი ხელისუფლება, რომელიც ნეიტრალიტეტს შეინარჩუნებს. „ქართულმა ოცნებამ" ეს ნეიტრალიტეტი დღემდე შეინარჩუნა. მართალია, თინა ხიდაშელი რამდენჯერმე გამოხტა, მაგრამ მთლიანობაში ნეიტრალურ პოზიციაზე დავრჩით.

ამ ვითარებაში სააკაშვილი დასავლეთისთვის იდეალური ვარიანტია. ის ჯერ არ მოსულა ხელისუფლებაში და უკრაინიდან რაღაც საშინელ განცხადებებს აკეთებს. ცოტა ხნის წინ გამოვიდა და ღიად დაუჭირა თურქეთს მხარი. ყარაბაღში რომ გამწვავდა ვითარება, მაშინაც გამოვარდა და აზერბაიჯანს დაუჭირა მხარი. ეს განცხადება იყო წაქეზება სამოქალაქო ომისკენ. როცა შენს ქვეყანაში ნახევარი მილიონი აზერბაიჯანელი და ამაზე ოდნავ ნაკლები სომეხი ცხოვრობს, ასეთი განცხადებების გაკეთებას პოლიტიკოსები უნდა მოერიდონ.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ხელისუფლება ყველაფერს ამერიკას უთანხმებს, მაინც სურთ მისი შეცვლა. ვაშინგტონს საქართველოს ხელისუფლებაში მისი ყურმოჭრილი მონების ხილვა სურს. ამ მიზნის მისაღწევად ყველა შესაძლებლობას გამოიყენებენ.

არჩევნების დღეს მათ მიერ კონტროლირებადი ტელევიზიები გამოაქვეყნებენ არჩევნების წინასწარ შედეგებს, სადაც პირველ ადგილზე ნაციონალურ მოძრაობას გაიყვანენ. ცესკო სხვა შედეგებს დადებს და დაიწყება ქუჩის აქციები, რომელშიც ხალხიც აქტიურად ჩაერთვება.

– ქუჩის აქციები ნაციონალებმა რამდენჯერმე მოაწყვეს, მაგრამ ხალხი ვერ აიყოლიეს. რატომ გგონიათ, რომ ახლა შეძლებენ ხალხის ქუჩაში გამოყვანას?

– ამაზე უკვე დაწყებული აქვთ მუშაობა. ნაციონალები, არასამთავრობო ორგანიზაციების გარდა, რამდენიმე პოლიტიკურ პარტიასაც აფინანსებენ. ხალხის მობილიზებას მათი დახმარებითაც შეძლებენ. ამის გარდა, ყოფილ ხელისუფლებას უკვე დაწყებული აქვს ფულის მობილიზება საშემოდგომო მოვლენებთან დაკავშირებით.

– ამდენი ფული ნაციონალებს საიდან აქვთ?

– ნაციონალურ მოძრაობას „ქართულ ოცნებაზე" მეტი ფული აქვს. მათ ყველა ბიზნესი შენარჩუნებული აქვთ და არც ფული აკლიათ. ნურც კეზერაშვილისა და სააკაშვილის ფულს დავივიწყებთ. დიდ ფულს ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. ეს 2003 წელსაც გამოჩნდა. მაშინ რუსთაველზე ბევრი ადამიანი ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე მივიდა. ახლაც ასე იქნება. ახალი მაიდანის მოწყობაში სააკაშვილს ენდიაის მსგავსი ინსტიტუტებიც დაეხმარებიან.

ხელისუფლება ახლა დგას არჩევანის წინაშე. ისინი ან ბედს უნდა შეეგუონ და შევარდნაძესავით დათმონ ძალაუფლება, ან კონკრეტული ნაბიჯები გადადგან. გადატრიალების სცენარი დაწერილიც არის და სააშკარაოზეა გამოტანილი.

– კონკრეტულ ნაბიჯებში რას გულისხმობთ?

– ქვეყანას ჰყავს უსაფრთხოების სამსახური. მათ კონკრეტული ზომები უნდა მიიღონ იმისთვის, რომ პროცესები კონსტიტუციური ჩარჩოებიდან არ გავიდეს. როდესაც საქმე ქვეყნის ინტერესებს ეხება, იქ ზედმეტი კეკლუცობა დაუშვებელია. ვინც დასაჭერია, ის უნდა დაიჭირო. სახელმწიფოს მოღალატეები ყველგან მკაცრად ისჯებიან.

დემნა ბატონიშვილი ნამდვილი ტახტის მემკვიდრე იყო და ის უნდა გამხდარიყო მეფე, მაგრამ მან ანტისახელმწიფოებრივი ქმედება ჩაიდინა. ამის გამო მას თვალები დასთხარეს და დაასაჭურისეს.

– ხელისუფლებას ოპონენტების დასაჭურისებისკენ მოუწოდებთ? ამაზე ამბავი ატყდება, მტრისას.

– დასაჭურისებას არ ვითხოვ, მაგრამ არის კანონი და კანონით უნდა ებრძოლო სამშობლოს გამყიდველებს. ნაციონალებს უკვე შექმნილი ჰყავთ დამრბევი ჯგუფები, ე.წ. ტიტუშკები. ისინი დადიან და ოპონენტებს ფიზიკურად უსწორდებიან. ეს პროცესი ხვალ შეიძლება უმართავი გახდეს.

მართალია, 2003 წელთან შედარებით სახელმწიფო სტრუქტურები უფრო ძლიერია, მაგრამ მაშინ დასავლეთს შევარდნაძისთვის პირდაპირ არ უთქვამს, წადიო. ახლა ეს მესიჯები ღიად იკითხება. არსებობს კულუარული ინფორმაცია, რომ ვარდების რევოლუციის წინ შევარდნაძესა და ჯორჯ ბუშ უმცროსს შორის სატელეფონო საუბარი შედგა. უმცროსმა ბუშმა საქართველოს პრეზიდენტს უთხრა, თანამდებობიდან უნდა წახვიდეო. ამან ისეთი ფრაზა უთხრა, რომლის თქმაც გაზეთში არ შემიძლია.

– შეაგინა უმცროს ბუშს შევარდნაძემ?

– მოდით, ამაზე არ დავკონკრეტდები. ეს ინფორმაცია ერთმა ყოფილმა დეპუტატმა მომაწოდა და არ მინდა მისი ვინაობა გამჟღავნდეს. რამდენადაც მე მითხრეს, ბუშთან სატელეფონო საუბრის აუდიოჩანაწერი შენახულია.

დღეს სულ ის მესმის, საქართველო უნდა გათავისუფლდეს რუსული ნარჩენებისგანო. ითხოვენ, შეწყდეს რუსული ფულის შემოსვლაო. კი ბატონო, შეწყდეს, მაგრამ მანახეთ, სად არის ეს რუსული გავლენა და რუსული ფული, ან ის ტელევიზია მანახეთ, რომელსაც მოსკოვი აფინანსებს.

სამაგიეროდ, მრავლად არიან ისეთი არასამთავრობოები და მედიასაშუალებები, რომლებიც დასავლეთის მიერ ფინანსდებიან. ქვეყანა გახლავთ კოლონიალურ მდგომარეობაში. ვინც ამას მხარს უჭერს, ისინი წარმოადგენენ სწორედ მეხუთე კოლონას.

რუსეთზე მეტად დასავლეთს უნდა, რომ საქართველო დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაზე არ ფიქრობდეს. ენდიაიმ რომ დაგვიდო კვლევა – დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება მხოლოდ 12%-ს უნდაო, ეს არის ტყუილი. უნდათ, რომ რამენაირად შეგვაგუონ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ოკუპაციას.

რუსეთი რომ ოკუპანტია, ამაზე არ ვდავობ, მაგრამ არანაკლები ოკუპანტები არიან სხვები. დამოუკიდებლობა მარტო საბჭოთა კავშირიდან გამოყოფას ნიშნავს? კარგია, საბჭოთა კავშირის უღლისგან რომ გავთავისუფლდით, მაგრამ სხვისი უღელი აღარ უნდა დავიდგათ. მაგათი ნებართვის გარეშე საჭმელიც კი ვეღარ გვიჭამია.

თქვენი გაზეთის საშუალებით კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ხელისუფლებას – დაინტერესდეს არასამთავრობოების საქმიანობით და ამ ამბავში პოლონეთის გამოცდილება გაიზიაროს. პოლონეთი არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა და მან აკრძალა სხვა ქვეყნების მიერ არასამთავრობოების დაფინანსება. მეეჭვება, ამ ხელისუფლებამ ამის გაკეთება გაბედოს.

– რატომ გგონიათ, რომ ხელისუფლება ამის გაკეთებას ვერ გარისკავს? არასამთავრობოები სულ იმას ჩივიან, რომ მათ დევნიან.

– ვინ ებრძვის? ყველაფერს ეგენი აკონტროლებენ და ამერიკის სახით დიდი მფარველი ჰყავთ. მეტსაც გეტყვით, საქართველოს ამერიკა დღეს სწორედ ამ ასო-ებით მართავს. ამის ნათელი მაგალითი 14 აპრილს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული დასკვნაა, რომელსაც ჩვენმა საზოგადოებამ მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ მიაქცია.

ამ დასკვნაში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს სიტყვასიტყვით აქვს გადმოტანილი ასო-ების განცხადებები. ვერსად წავიკითხე, რომ რაიმე გამოკვეთილ ფაქტზე ყოფილიყო საუბარი და, რადგან ასო-ები რაღაცით შეშ-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ლადო სადღობელაშვილი დავით ზურაბიშვილს თავზე კოლგოტკის ჩამოცმით ემუქრება

„მირჩევნია, ციხეში წავიდე, ვიდრე ამ სოროსელის ლანძღვა ავიტანო“

შორენა მარსაგიშვილი

ახასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი თაობა" ჩესპუბლიკური პარტიის ეთ-ეთ ლიდერ დავით ზურაბიშვილს უკანასკნელად აფრთხილებს და ანგარიშსწორებით ემუქრება.

მათი დაპირისპირება წლებია გრძელდება, მაგრამ ამჯერად სიტუაცია ძალიან დაიძაბა.

რესპუბლიკელების ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ზურაბიშვილმა მოუღლოდნელად ირაკლი ღარიბაშვილზე მიიტანა იერიში.

ზურაბიშვილის განცხადებით, სრულიად შავრაზმული პრორუსული ტიპის ძალების მომძლავრება საქართველოში გარკვეულწილად მოხდა იმიტომაც, რომ ამ ძალებისთვის ღარიბაშვილი იყო ერთგვარი ცენტრი.

– ყველა ის ადამიანი, დაწყებული ლადო სადღობელაშვილით, დამთავრებული რეზო ამაშუკელით, ასეთი ტიპის ადამიანებისთვის ღარიბაშვილი იყო მთავარი ორიენტირი, – აცხადებს ზურაბიშვილი და დასძენს, რომ ღარიბაშვილის პრემიერობის დროს მოხდა გურიის გუბერნატორად იმ ადამიანის დანიშვნა, რომელმაც ქალაქებში გაუპატიურების კადრების სეანსები მოაწყო.

ამ განცხადებას სასწრაფოდ გამოეხმაურა ლადო სადღობელაშვილი და რესპუბლიკელები პრორუსულობაში იქით დაადანაშაულა.

– პრორუსული და სამშობლოს მოღალატე ძალების რიგებში რესპუბლიკელებს უკავიათ პირველი ადგილი. მათი მხრიდან ვინმესკენ თითის გაშვერა მინიმუმ დიდი უნამუსობაა. მას თუ დაავიწყდა, მე კარგად მახსოვს, როგორ გალანძღეს რამდენიმე წლის წინ სოზარ სუბარმა და დავით უსუფაშვილმა ერთმანეთი. ისინი ერთმანეთს სდებდნენ ბრალად იმას, რომ რუსული ფული აიღეს, – განაცხადა „ახალ თაობასთან" საუბარში სადღობელაშვილმა.

მისი თქმით, წლების წინ, როცა საქართველოდან მოუხდა გაქცევა, თავი არა რუსეთს, არამედ საფრანგეთს შეაფარა.

– ჩვენი ორგანიზაცია არასდროს დაუფინანსებია რუსეთს. ჩვენ ყოველთვის ვთანამშრომლობდით გერმანულ ფონდთან. დავით ზურაბიშვილი კი პუტჩისტ ძმებ ბერძენიშვილებთან და სოროსელ გველებთან თანამშრომლობს, – აღნიშნავს „თავისუფალი თაობის" ლიდერი.

ის მიზეზებსაც განმარტავს, თუ რატომ ვერ იტანენ რესპუბლიკელები ირაკლი ღარიბაშვილს.

– ისინი არიან ნაციონალები და ყოფილ პრემიერს ვერაფრით პატიობენ იმას, რომ მან ამ დამნაშავეების „გატისკვა" დაიწყო. ამიტომაც ლანძღავენ ღარიბაშვილს და მასთან ერთად გვლანძღავენ იმათაც, ვისაც ნაცები და, შესაბამისად, რესპები არ მოგვწონს.

ზურაბიშვილს ეგონა, რომ შეურაცხყოფა მომაყენა, სინამდვილეში კი სხვაგვარად არის საქმე. ჩემთვის დიდი პატივია, რეზო ამაშუკელთან და ღარიბაშვილთან ერთად თუ მომიხსენიებს. ნაცების გარდა, ჩვენმა აქტიურობამ რესპუბლიკელებიც გაუშვა პოლიტიკურ სამარეში, – ამბობს ამაყი სადღობელაშვილი.

ამაშუკელთან და ღარიბაშვილთან ერთად მისი გვარის ხსენება ეამა, მაგრამ შავრაზმელობამ აღაშფოთა.

– ის ხშირად ილანძღებოდა ჩვენი მისამართით. აქამდე ამ ყველაფერს ვითმენდი, ხან ღარიბაშვილის ხათრით, ხანაც იმ პრესკლუბებს ვუწევდი ანგარიშს, სადაც ეგ ატარებდა პრესკონფერენციებს. ახლა მოთმენას არ ვაპირებ და, სადაც ეგ ბრიფინგს გამართავს, მივალ და თავზე კოლგოტს ჩამოვაცვამ, არც წითელ საღებავს დავინანებ, – დებს პირობას სადღობელაშვილი.

ის საკრებულოს დეპუტატს სხვანაირი ფორმითაც ჰპირდება ანგარიშსწორებას, პირობას დებს, რომ ზურაბიშვილი ქუჩაში თავისუფლად ვერ გაივლის.

– ჩვენს ლაფში ამოსვრას ურჩევნია, საკუთარ სახელზე იზრუნოს და იმას მიხედოს, რაც მის სამაჟორიტაროში ხდება. აბა, გაიაროს იმ უბანში თავისუფლად და ხალხს ჰკითხოს, რას ფიქრობენ მასზე. სხვების არ ვიცი და მე მეტის მოთმენას არ ვაპირებ, საჯაროდ ვაცხადებ, ქუჩაში რომ შემხვდეს, ანგარიშს გავუსწორებ. ვიცი, რომ ამის გამო ციხეში წავალ, მაგრამ მირჩევნია, რამდენიმე თვე გისოსების მიღმა გავატარო, ვიდრე ამ სოროსელის შეურაცხყოფას ვუსმინო, – ამბობს ლადო სადღობელაშვილი.

ის ზურაბიშვილს ამომრჩევლის მიმართ გულგრილობაშიც ადანაშაულებს და პირობას დებს, რომ მის საქმიანობას შეისწავლის.

– ბახტრიონზე, დოლიძესა და ფანასკერტელზე მას არაფერი გაუკეთებია. გაიარეთ ამ უბანში და ნახავთ, რომ მხოლოდ ერთ ადგილას არის გზა მოსწორებული. ეს გახლავთ ჩიხი და იქ უსუფაშვილ-ხიდაშელის წყვილი ცხოვრობს. აი, ასეთი მზრუნველი მაჟორიტარი ჰყავს ამ უბანს, – ამბობს „თავისუფალი თაობის" ლიდერი.

სოსო შატბერაშვილი: „ბიძინა ივანიშვილი არ დამალავს, თუ სხვა პარტიებსაც გაუწევს მფარველობას“

„ენდიაის თბილისის ოფისის საქმიანობაზე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს მივმართეთ“

მარიამ მჭედლიშვილი

პარტია „მემარცხენე ალიანსმა" წარიღო გაუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს, რომელშიც გამოთქმულია სურვილი, რომ ენდიაის თბილისის ოფისმა სოციოლოგიური ჯგუფვა შეუჯვეთოს ნეიტრალურ ადგილობრივ ორგანიზაციას. ამ თემაზე 15 აპრილს საელჩოსთან ბრიფინგიც გამართა. „ახალი თაობა" ესაუბრა „მემარცხენე ალიანსის" გენერალურ მდივან სოსო შატბერაშვილს

სოსო შატბერაშვილი:

– იმის გამო, რომ ენდიაის თბილისის ოფისი კვლევებისათვის ქირაობს ღევან თარხნიშვილის არასამთავრობო ორგანიზაციას, კვლევების შედეგები არაობიექტურია. ეს გრძელდება წლების განმავლობაში. თარხნიშვილი ატარებს ნაციონალური მოძრაობის ინტერესებს. კვლევების შედეგების პოლიტიკური ნაწილი ხშირად აცდენილია რეალობას. ენდიაის მიერ გამოქვეყნებული არცერთი შედეგი არ დამთხვევია არჩევნების შედეგებს. ეს იწვევს ხალხის უკმაყოფილებას და უარყოფითად მოქმედებს აშშ-ის ავტორიტეტზე. ამიტომ მივმართეთ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს, გამოკითხვა ჩაატარებინონ სხვა, ნეიტრალურ ორგანიზაციას.

– ანუ არ ეთანხმებით იმ შედეგებს, სადაც ნაციონალური მოძრაობის რეიტინგი თითქმის „ქართული ოცნებისას“ უტოლდება?

– ასეთი ციფრები ბლეფია. ისინი ისევე შორსაა რეალობისაგან, როგორც მანამდე გამოცხადებული შედეგები. ისინი არასდროს დამთხვევია არჩევნების შედეგებს.

– ზაფხულში ენდიაი კიდევ ერთი კვლევის ჩატარებას აპირებს.

– თუ ეს კვლევაც ძველებურად ჩატარდა, ისიც ნაციონალური მოძრაობის ინტერესებში იქნება. ამის მიზანი ორია. პირველი – საზოგადოება შეაგუონ იმას, რომ ნაცმოძრაობა ძალიან ძლიერი პარტიაა და მეორე – თუ არჩევნების გზით ნაცმოძრაობა ვერ მობრუნდა, მოამზადონ ნიადაგი პროტესტისათვის.

– ნაციონალური მოძრაობა ისევ ითვლება მთავარ ოპოზიციად არა მარტო ენდიაის მონაცემებით.

– წინასაარჩევნო პერიოდში ყველა პარტია გადაჭარბებულად წარმოაჩენს თავის რეიტინგს. ასეა ნაციონალური მოძრაობაც. 2012 წელს, როცა საქართველოში ჩამოსულმა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ხელისუფლების მშვიდობიანად გადაბარებაზე ისაუბრა, ესეც თავისებურად მონათლეს ნაციონალებმა. მათ ჩათვალეს, რომ სააკაშვილმა ხელისუფლება უნდა გადააბაროს სხვა ნაციონალებს. ესეც იყო სასურველის რეალობად გასაღება. ახლაც ეს ხდება.

– თქვენ, „მემარცხენე ალიანსი“, ისევ ძველი კოალიციის ფარგლებში აპირებთ არჩევნებში მონაწილეობას? წინა არჩევნების დროს ნინო ბურჯანაძის პარტიასთან და სხვებთან გქონდათ ალიანსი.

– არ არის გამორიცხული, რომ ისევ ამ კოალიციის შემადგენლობაში მივიღოთ არჩევნებში მონაწილეობა. მაშინ ჩვენ ხუთი სუბიექტი ვიყავით ერთად. შესაძლებელია ისიც, რომ სხვა კოალიციაში გავწევრიანდეთ. გვაკითხავენ პარტიები, რომლებთანაც კონსულტაციები გვაქვს. ამაზე ადრეა საუბარი.

– „ქართული ოცნების“ პარტიები დამოუკიდებლად მონაწილეობენ არჩევნებში.

– ეს კარგია. ეს პარტიები წებოთი შეკოწიწებულებივით იყვნენ. სამწელიწად-ნახევარი მათ ერთმანეთთან და ნაცმოძრაობასთან კინკლაობაში გაატარეს, საქმე კი უკან დარჩათ.

– შესაძლებელია თუ არა, რომ ბიძინა ივანიშვილმა სხვა რომელიმე პარტიასაც გაუწიოს პროტექცია?

– ბიძინა ივანიშვილმა შეიძლება რამდენიმე პარტიასაც კი გაუწიოს მფარველობა. მთავარია, რომ ის ამას არ დამალავს. ამგვარი ნაბიჯები მას ადრეც არ დაუმალავს.

– ირაკლი ღარიბაშვილის პოლიტიკაში დაბრუნება თუ არის რეალური?

– ვფიქრობ, ეს საკითხი არ არის აქტუალური. საზოგადოებას, რომელსაც უამრავი სოციალური პრობლემა აწუხებს, ეს არ აინტერესებს. ირაკლი ღარიბაშვილის მიმართ ცუდად არ ვარ განწყობილი. ხალხმაც კარგად აღიქვა მისი განცხადებები, რომელიც ეხებოდა ტრადიციების დაცვას, მათ შორის, ოჯახის ინსტიტუტს, მაგრამ ის არ არის ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა. ამიტომ ღარიბაშვილის პოლიტიკაში დაბრუნება-არდაბრუნება არააქტუალური თემაა.

„ამერიკამ საქართველოში ხელისუფლების შეცვლას მწვანე შუქი აუნთო“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ფოთებული არიან, ამ შეშფოთებას იზიარებს სახელმწიფო დეპარტამენტი.

ვაშინგტონს საქართველოში ასო-ები ჰყავს ცეკას მეორე მდივნად მოვლენილი. საბჭოთა კავშირის დროს მოსკოვი რესპუბლიკებს არ ენდობოდა და იქ მეორე მდივნებად რუსებს აგზავნიდა. დასავლეთიდან ასო-ები დიდ დაფინანსებას იღებენ. ამის გარდა, მათთვის ყველა ტელევიზიის კარი ღიაა, ყველაფერზე ეგენი აკეთებენ კომენტარებს და ხელისუფლებაც ყოველთვის იზიარებს მათ მოსაზრებებს. არჩევნების წინ ისინი კიდევ უფრო გააქტიურდებიან და ნაციონალებს ხელისუფლების შეცვლაში დაეხმარებიან.

2012 წელსაც ნაციონალების მხარეს იყვნენ და დავალების მიღების შემთხვევაში არჩევნების გაყალბებასაც „გააპრავებდნენ“. მაშინ ხალხი უკიდურესად უარყოფითად იყო განწყობილი ნაციონალების მიმართ და დასავლეთმა აღარ გარისკა. მაშინ ნაციონალებს რომ გაემარჯვათ, ხალხი ქუჩაში გამოვიდოდა და არეულობა დაიწყებოდა. ახლა რომ ვუყურებ, ალბათ, უკეთესი იქნებოდა, სიტუაცია არეულიყო.

– როგორ შეიძლება, არეულობაზე თქვათ, რომ შეიძლებოდა, ის უკეთესი ყოფილიყო?

– უკეთესი იქნებოდა, ნაციონალები ასე აღარ დაგვასხდებოდნენ თავზე. იმის მაგივრად, რომ მათი გასამართლება მომხდარიყო, ახლა იქით იმუქრებიან, რომ არსებულ ხელისუფლებას გაასამართლებენ. სააკაშვილი ისეა დარწმუნებული ხელისუფლების დაბრუნებაში, რომ დასაჭერი ხალხის სიები უკვე შედგენილი აქვს. ვაფრთხილებ ხელისუფლებას, თუ ისინი ხელისუფლების გადაბარებას დათანხმდებიან, ქართველი ხალხისგან ძალიან მკაცრ პასუხს მიიღებენ – მათ ნაციონალებთან ერთად გაასამართლებენ.

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

სპორტი

გვარდიოლა ატლეტიკოს უფრთხის

პარასკევს კენჭისყრა გაიმართა, რომლის შედეგადაც ცნობილი გახდა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალური წყვილები.

მიუნხენის ბაიერნი ატლეტიკოს დაუპირისპირდება, რეალი კი – მანჩესტერ სიტის. ბაიერნის მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ ატლეტიკოსთან დაპირისპირებაზე მცირე კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ ატლეტიკო ძალიან ძლიერი კოლექტივია, რომელსაც შეუძლია, მის გუნდს ბევრი უსიამოვნება მიაყენოს.

გვარდიოლამ აღნიშნა, რომ ის ესპანეთის ჩემპიონატს ხშირად უყურებს და კარგად იცის მადრიდის ატლეტიკოს ძალა. გარდა ამისა, გვარდიოლას აზრით, ატლეტიკოს შეუძლია, ნებისმიერ გუნდს მოახვიოს თავისი თამაში.

შვაინშტაიგერი სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს



გერმანელმა ფეხბურთელმა ბასტიან შვაინშტაიგერმა ერთი თვის წინ მძიმე ტრავმა მიიღო და ცნობილი გახდა, რომ ის წლევანდელ სეზონში მანჩესტერ იუნაიტედს ვეღარ დაეხმარება.

ამის შესახებ ლუი ვან გაალმა განაცხადა.

ასევე საეჭვოა შვაინშტაიგერის ევრო 2016-ზე თამაში, თუმცა ამის შანსი არსებობს. ბასტიანმა თავისი კარიერის ძირითადი ნაწილი მიუნხენის ბაიერნში გაატარა და მანჩესტერ იუნაიტედში 2015 წლის ზაფხულში გადავიდა.

წლევანდელი სეზონი მისთვის წარუმატებელია, რადგან, გარდა ტრავმებისა, შვაინშტაიგერი აშკარად აღარ არის ისეთი მოქნილი და სწრაფი მოედანზე, როგორც ადრე.

ლევან მჭედლიძემ ტრავმა მოიშუშა

ქართველმა ფეხბურთელმა ლევან მჭედლიძემ, რომელიც ემპოლიში თამაშობს, ტრავმა ბოლომდე მოირჩინა და მოედანზე გამოსასვლელად მზად არის.

მჭედლიძე წლევანდელ სეზონში ტრავმებმა გააწამა და მან ემპოლის შემადგენლობაში მხოლოდ რამდენიმე შეხვედრის ჩატარება შეძლო.

აღსანიშნავია, რომ ტრავმებს მჭედლიძე საქართველოს ნაკრებში ყოფნის დროს იღებდა ხოლმე.

ემპოლი კვირას 17 აპრილს იტალიის დედაქალაქს ესტუმრება, სადაც ლაციოსთან ჩაატარებს გასვლით შეხვედრას.

32 ტურის შემდეგ ემპოლის 39 ქულა აქვს და ის სატურნირო ცხრილში მე-12 პოზიციას იკავებს.

მჭედლიძეს წლევანდელ სეზონში თავი ჯერჯერობით არ გამოუჩენია.

იურგენ კლოპი: „ლივერპულით ვამაყობ“



14 აპრილს ლივერპულმა და დორტმუნდის ბორუსიამ ფეხბურთის გულშემატკივრებს საოცარი შოუ შესთავაზეს.

მიუხედავად იმისა, რომ ორჯერ 2 ბურთით აგებდა, შეხვედრა ლივერპულმა მოიგო 4:3 და ევროპის ლიგის ნახევარფინალში გავიდა.

ინგლისურმა გუნდმა თითქმის შეუძლებელი შეძლო და ამ შეხვედრამ ყველას 2005 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალი გაახსენა, როდესაც ლივერპულმა მილანთან 3- ბურთიანი დეფიციტი აღმოფხვრა.

იურგენ კლოპი მატჩის შემდეგ ემოციებს ვერ მალავდა:

– ჩემი ბიჭებით ვამაყობ. მე არც იმ შემთხვევაში გავბრაზდებოდი, რომ ვერ მოგვეგო, რადგან, რაც მთავარია, ლივერპულმა საბრძოლო სული აჩვენა. ეს ისეთი თამაში იყო, რომელიც ისტორიას შემორჩება. ლივერპულმა დღეს ისტორია შექმნა.

აღსანიშნავია, რომ ლივერპული ერთადერთი გუნდია მთელ ევროპაში, რომელსაც წლევანდელ სეზონში ევროტურნირებზე არცერთი წაგება არა აქვს.

ნახევარფინალში ინგლისელები ვილიარეალს დაუპირისპირდებიან.

ზიდანი არ ფიქრობს, რომ რეალს წილისყრაში გაუმართლა

ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში მადრიდის რეალის მეტოქე მანჩესტერ სიტი იქნება, ბევრი ფიქრობს, რომ რეალს ხშირად უმართლებს მეტოქეებში და ამჯერადაც ასე მოხდა. ამ აზრს კატეგორიულად არ ეთანხმება რეალის მთავარი მწვრთნელი ზინედინ ზიდანი, რომლის აზრით, მანჩესტერ სიტი ძალიან ძლიერ კლუბია და რეალს მძიმე შეხვედრები ელის.

– ყველას ეგონა, რომ ვოლფსბურგს ადვილად დავამარცხებდით, მაგრამ თქვენ თვითონ ნახეთ, როგორ გაგვიჭირდა ამ გუნდთან. ნახევარფინალში სუსტი მეტოქეები არ არიან, ამიტომ ყურადღებით უნდა ვიყოთ.

პირველი მატჩი ამ გუნდებს შორის მანჩესტერში გაიმართება, განმეორებითს კი მადრიდი უმასპინძლებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

როგორ აპირებს სოლომონ პავლიაშვილი საგარეჯოს ეკონომიკურ განვითარებას

საგარეჯოს მაჟორიტარის პოლიტიკური პორტრეტი აპოლიტიკური შტრიხებით

„თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის“ რექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტი, საგარეჯოს მაჟორიტარობის დამოუკიდებელი კანდიდატი სოლომონ პავლიაშვილი ცნობილი ადამიანია. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ საგარეჯოელები პავლიაშვილზე დიდ იმედს ამყარებენ. ყველაზე მეტად კი ხალხს ის მოსწონს, რომ სოლომონ პავლიაშვილს ზურგს რომელიმე პარტია კი არა, საგარეჯოს სიყვარული უმაგრებს. სხვათა შორის, ამას წინათ, საგარეჯოს მაჟორიტარობის დამოუკიდებელი კანდიდატი გამოვიდა ინიციატივით, რომ მაჟორიტარები პარტიებმა არ წარადგინონ და მათ კენჭი დამოუკიდებლად იყარონ – პავლიაშვილის განმარტებით, როცა მაჟორიტარი პოლიტიკურ კონიუნქტურას ემორჩილება, უნდა თუ არა, ზოგჯერ იძულებული ხდება, რაიონისა და ხალხის ინტერესი გვერდზე გადადოს. „ახალ თაობასთან“ საუბრისას კი ბატონი სოლომონი ახალ ინიციატივას აყენებს და იმისთვის, რომ საგარეჯოში უმუშევრობა დაიძლიოს და მუნიციპალიტეტი ეკონომიკურად გაძლიერდეს, ხელისუფლებას რამდენიმე საინტერესო მოსაზრებას სთავაზობს.

– ბატონო სოლომონ, დღეს ქვეყნისთვის მთავარი პრობლემა რა არის, ანუ ხალხს ყველაზე მეტად, იმავე რეგიონში რა აწუხებს?

– ეს კითხვა ძალიან კომპლექსურია, თუმცა ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი დასაქმების პრობლემაა – რეგიონებში სამუშაო ადგილები არ იქმნება და ყველაფერი დიდ ქალაქებში, განსაკუთრებით თბილისშია ფოკუსირებული. ამიტომაც, სოფლიდან ხალხი გამორბის. სოფლად მოსახლეობა თვითდასაქმებულად მიწაზე ითვლება, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, სინამდვილეში, სეზონურია. ერთი სიტყვით, ამ მიმართულებით საგანგაშო ისაა, რომ რეგიონები ინვესტიციებს მოკლებულია. ეს რომ გამოსწორდეს, ვფიქრობ, სახელმწიფო პოლიტიკაა საჭირო, რომ ინვესტორებს რეგიონებში ფულის დაბანდების სურვილი გაუჩნდეთ.

– შეგიძლიათ, დამიკონკრეტოთ, სახელმწიფო პოლიტიკაში რას გულისხმობთ?

– იმას არ ვამბობ, რომ ესა თუ ისე რეგიონი, მაგალითად, იმავე კახეთში ინვესტიციების წახალისების მიზნით თავისუფალი ეკონომიკურ ზონის გარკვეული ელემენტები შემოვიტანოთ, ასეთი მოდელის მოფიქრება რთული არაა, რომელიც პირველ ეტაპზე, შეიძლება, საგარეჯოს რაიონში დაინერგოს.

– რატომ მაინცდამაინც საგარეჯოში?

– საერთოდ, საგარეჯო მეტად საინტერესო რაიონია – გარდა იმისა, რომ თბილისთან ძალიან ახლოსაა, ამ მუნიციპალიტეტს თავისი უდაბნოც აქვს და მთაც – ცივზე ყველაზე მაღალი მწვერვალი ზღვის დონიდან 1900 მეტრზეა. ცივის ძირში ადგილი კოდა მდებარეობს, რომლისთვისაც შესაძლებელია, სპეციალური ინფრასტრუქტურული პროექტი გაკეთდეს, რომელიც მთელ რაიონში ხელს ტურიზმის განვითარებას შეუწყობს. საერთოდ, მსოფლიოში მთის ყველა კურორტი, რომელიც დედაქალაქთან ახლოს მდებარეობს, ძალიან განვითარებული და შემოსავლიანია. მოკლედ, თუკი საგარეჯოში ეს პროექტი განხორციელდება, ამით მხოლოდ უცხოელ ტურისტებს კი არა, ადგილობრივ მოსახლეობასაც მოვიზიდავთ.

– უცხოელი თუ ადგილობრივი ტურისტების მოზიდვა საგარეჯოელებს რას მისცემს?

– ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება დასაქმების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. საგარეჯოში მეცხოველეობა მეტნაკლებად განვითარებულია, რაც იმის საშუალებაა, რომ იგივე კოდის ტურისტული ცენტრი ადგილობრივი პროდუქციით მომარაგდეს, თუმცა ყველაფერი ეს მხოლოდ კოდას არ ეხება და ანალოგიური პროექტი შეიძლება, კურორტ უჯარმისთვისაც გაკეთდეს. სხვათა შორის, უჯარმა უნიკალური სამკურნალო ბალნეოლოგიური კურორტია, თუმცა ახლა სეზონურად მუშაობს და წელიწადში მხოლოდ 600 დამსვენებელს ემსახურება, რადგან ინფრასტრუქტურა არ არსებობს. თუკი, მაგალითად, საირმის განვითარება შეიძლებოდა, რომელიც მხოლოდ საქართველოში კი არა, მთელ რეგიონშიც ერთ-ერთ სამაგალითოა, რატომ არ შეიძლება, რომ უჯარმაც განვავითაროთ, მით უმეტეს, რომ ამ კურორტს ამის რესურსი აქვს?!

– ბატონო სოლომონ, თქვენი იდეა, უდავოდ, უნიკალურია, მაგრამ ყველაფერი ეს რეალობად რომ იქცეს, სახელმწიფომ, თქვენი აზრით, კონკრეტულად რა ნაბიჯები უნდა გადადგას?

– როგორც წელან აღვნიშნე, საგარეჯო, პრაქტიკულად, თბილისის გარეუბანია. შესაბამისად, საინტერესოა, რომ დედაქალაქიდან 45 კილომეტრში ეკონომიკური განვითარება დაიწყოს. საამისოდ კი, პირველ რიგში, ადგილობრივი ინვესტორები სახელმწიფომ რაღაცნაირად უნდა წაახალისოს – მაგალითად, მუნიციპალიტეტმა ინვესტორს კოდაში მიწა, სარგებლობის უფლებით, დაბალ ფასად გადასცეს

– საამისოდ სპეციალური საკანონმდებლო რეგულაციებია საჭირო?

– არა. ეს მიწა მუნიციპალიტეტის სარგებლობაშია და ინვესტორს, შეიძლება, უზურფრუქტით გადაეცეს. პარალელურად, სახელმწიფომ გზის გაყვანაზე უნდა იზრუნოს, რადგან 8-კილომეტრიან გზას ინვესტორი ვერ გაიყვანს. ერთი სიტყვით, არსებობს პოტენციალი, რომ კოდა საქართველოში ერთ-ერთი მიმზიდველი ზამთრის კურორტი გახდეს!

სხვათა შორის, ჟურნალმა „ფორბსმა“ უჯარმა მსოფლიოს 9 უძველეს ციხე-სიმაგრეთა სიაში შეიტანა. ბოლოს და ბოლოს, ვახტანგ გორგასალი უჯარმაში გარდაიცვალა და ტურიზმისთვის ამაზე უნიკალური ადგილი რაღა უნდა იყოს, მაგრამ უცხოელებს ვინ ჩივის, კარგად გამიგეთ და, უჯარმის ციხე საქართველოს მოსახლეობის, ალბათ, 3 პროცენტსაც არ აქვს ნანახი.

რაც შეეხება სოფელ უდაბნოს, იქ ტურისტები დადიან, მაგრამ ესეც სეზონურია, არადა, უდაბნოსაც დიდი პოტენციალი აქვს და ვინაიდან ასეთი სამონასტრო კომპლექსია, აქაც სახელმწიფო პოლიტიკაა საჭირო, მაგალითად, უდაბნოსკენ მიმავალი გზა შეკეთდეს...

– ტურისტული ბიზნესის განვითარებას დრო სჭირდება. ადამიანები, წლებია, ლოდინითა და დანაპირებით დაიღალნენ. ბატონო სოლომონ, პროფესიონალი და ცნობილი ეკონომისტი ხართ. მითხარით, არსებობს რეცეპტი, რითიც ხალხის მდგომარეობა და ცხოვრება მყისიერად შეიცვლება?

– მე თუ მკითხავთ, სოფლად გლეხებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისთვის ვაუჩერები კი არ უნდა დავურიგოთ, არამედ, სახელმწიფო კომპანია „მექანიზატორის“ ტარიფები

შეხვედრა მაჟორიტარის ოფისში. 2001 წ.

უნდა გადაიხედოს – მაგალითად, ერთი ჰექტრის დამუშავება 130 ლარამდე ღირს, რაც ძალიან მაღალია და გლეხი ვერ სწვდება. ტარიფების შემცირებით კი მოსახლეობა შვებას იგრძნობს.

– ტარიფებს ვინ უნდა გადახედოს?

– რა თქმა უნდა, სახელმწიფომ, რადგან „მექანიზატორი“ სახელმწიფო შპს-ა.

– იმავე ამ საკითხს ხელისუფლებასთან ლობირება ვინ უნდა გაუწიოს?

– იცით, მაჟორიტარის ფუნქცია რა არის?

– რა?

– მაჟორიტარი ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის ხიდია. ხალხისთვის საჭირო და აუცილებელი კანონპროექტებიც სწორედ მაჟორიტარმა უნდა მოამზადოს, პარლამენტში გაიტანოს და ლობირებაც გაუწიოს. დღეს ზოგიერთი პარლამენტარის გამოსვლები სადღეგრძელოებს ჰგავს, არადა, დეპუტატის ნებისმიერი წინადადება თუ ინიციატივა არგუმენტირებული და დასაბუთებული უნდა იყოს.

ტარიფების გარდა, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ მოსავალი დაზღვეული იყოს. ამ კუთხით სახელმწიფომ მხოლოდ ე.წ. საპილოტე პროგრამები კი არ უნდა განახორციელოს, არამედ, მონაწილეობა თანადაფინანსებაშიც მიიღოს. გარდა ამისა, სახელმწიფომ იდეოლოგიაც უნდა შექმნას.

– რას გულისხმობთ?

– კარგად გამიგეთ და, ვთქვათ, სტიქიური უბედურების დროს, გლეხი ხელს გამგებლისა და გუბერნატორისკენ არ უნდა იშვერდეს, ანუ გლეხი დამოუკიდებელი უნდა გავხადოთ და ეს ძალიან მარტივია.

– იმისთვის, რომ გლეხი დამოუკიდებელი გახდეს, რა არის საჭირო?

– სახელმწიფომ, მაგალითად, სასაწყობო მეურნეობები უნდა შექმნას, სადაც გლეხი მოსავალს შეინახავს; ასევე, ინფრასტრუქტურა განავითაროს – ხიდები ააშენოს, ნაკვეთებამდე გზები გაიყვანოს, სარწყავი სისტემები მოაწესრიგოს. ყველაფერ ამაში კი, უპირველესად, მაჟორიტარი უნდა ერკვეოდეს, რადგან ხალხს დახმარება სწორედ ასეთ ყოფით საკითხებში სჭირდება!

– მიწის დამუშავებისა და მოსავლის მოვლა-შენახვის გარდა, გლეხობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი „ყოფიერი საკითხი“ კიდევ რა არის?

– „ქართული ოცნების“ მიერ დანერგილ საყოველთაო ჯანდაცვას მივესალმები, რადგან ძალიან კარგი პროექტია, მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს – მაგალითად, ადამიანს სახლი დაეწვა.

– უკაცრავად, ვერ ვხვდები, საუბარი საითკენ მიგყავთ...

– მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ე.წ. სოციალური კომპონენტი იმავე საგარეჯოს ბიუჯეტში ძალიან დაბალია – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი სულ 11 მილიონიანია, აქედან სოციალური საკითხებისთვის მხოლოდ 350 ათასია განსაზღვრული, რაც ძალიან მცირეა და აუცილებლად უნდა გაიზარდოს. კი ბატონო, ჯანდაცვა უფასოა და ადამიანს ოპერაციაზე ფული აღარ ეხარჯება, მაგრამ, ვთქვათ, სახლი დაეწვა, ან დაენგრა. არ უნდა დავეხმაროთ? სხვათა შორის, მთელ მსოფლიოში ასეა და ისიც დასაშვებია, რომ სოციალური ბიუჯეტი, ვთქვათ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში უფრო მაღალი იყოს, ვიდრე – გურჯაანის...

– ბატონო სოლომონ, საგარეჯოს მაჟორიტარი ერთხელ უკვე იყავით...

– დიახ, ვიყავი.

– მერე, ამ იდეებს ხორცი მაშინ რატომ არ შეასხით?

– ბევრი რამ გავაკეთე. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მაჟორიტარის ოფისი საგარეჯოში სწორედ მაშინ ამუშავდა. ჩემს წინამორბედ დეპუტატებს არ ეწყინებათ – საგარეჯოს პირველი მაჟორიტარი ვიყავი, რომელიც მოსახლეობას ყოველ ორშაბათს იღებდა და ეს მთელ საგარეჯოს დღემდე ახსოვს. სხვათა შორის, მაშინ ყველაფერი გავაკეთე, რომ საგარეჯოში მსოფლიო ბანკის პროექტები ამუშავებულიყო. საერთოდ, როცა დეპუტატი ხარ, შენს სატელეფონო ზარს ნებისმიერი მინისტრი უნდა პასუხობდეს და შენი ცოდნის, განათლებისა და გამოცდილების გამო, შენი, როგორც მაჟორიტარის, მორიდება ჰქონდეთ.

– ბატონო სოლომონ, რა ამის პასუხია და, თქვენი აზრით, მაჟორიტარი აუცილებლად რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან უნდა იყოს ასოცირებული?

– არ ვთვლი აუცილებლად და ამის შესახებ განვაცხადე კიდეც, მაჟორიტარი უფრო დამოუკიდებელი იქნება, თუ მის უკან პოლიტიკური პარტია არ იდგება. როცა შენ უკან პოლიტიკური პარტია დგას, გინდა თუ არა, გარკვეულ კონიუნქტურაში „ჯდები“ და შენი რაიონის ხარჯზე, რაღაცებზე უარის თქმა გიწევს, ანუ იმ პოლიტიკურ ნებას ემორჩილები, რაც შენს პოლიტიკურ გუნდს აქვს.

სხვათა შორის, მიწის რეგისტრაციის კანონპროექტიც გავაკრიტიკე და ჩემი კრიტიკა სახელმწიფოსთვის მისაღები აღმოჩნდა, რაზეც კომენტარი იუსტიციის მინისტრმაც გააკეთა. დიახ, ამ კუთხითაც ყველაფერი თავის თავზე სახელმწიფომ უნდა აიღოს, რადგან გლეხმა არ იცის, მაგალითად, ამზომველი საიდან მოიყვანოს. გარდა ამისა, მიწის ზოგი ნაკვეთი საკომლო წიგნში არ იძებნება, ან პირველი მემკვიდრე გარდაცვლილია და ა.შ. ყველაფერი ეს სახელმწიფომ უნდა დაალაგოს.

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მიწის ბევრი დაურეგისტრირებელი ნაკვეთია?

– ალბათ, 60-65 პროცენტი... მეზობელზე უკეთესად არავინ იცის, მისი ნაკვეთი სად მთავრდება და მეზობლისა სად იწყება. ამიტომ ვამბობ, რომ ე.წ. მოწმის ინსტიტუტი უნდა შემოვიღოთ და ეს საკითხი მარტივად გადაწყდება. მთელი ხარჯები კი, რაც ამ პროცესს დასჭირდება, სახელმწიფომ უნდა გაიღოს.

– ბატონო სოლომონ, ყველა პრობლემის თავიდათავი, ჩემი აზრით, მაინც განათლების ნაკლებობაა. ამ მხრივ საგარეჯოში როგორი მდგომარეობაა?

– განათლების კუთხით საგარეჯოში ისეთივე მდგომარეობაა, როგორც მთელ საქართველოშია, თუმცა, ვინაიდან დედაქალაქთან ახლოსაა, ხალხი, შეიძლება, უფრო მეტად ინფორმირებული და მომზადებულია. ბოლოს და ბოლოს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საგარეჯო გოგლა ლეონიძისა, იოსებ იმედაშვილის, ვასილ გულისაშვილისა და იოსებ მჭედლიშვილის სამშობლოა. აღარაფერს ვამბობ მიხა ჯიღაურზე, ლევან თედიაშვილსა და სხვა ძალიან ბევრ ცნობილ ადამიანზე. ისე, სოციალური ქსელი და, ზოგადად, ინტერნეტი კარგია, მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ახალგაზრდობამ წიგნი აღარ წაიკითხოს!

– სიტყვამ მოიტანა და საგარეჯოში ბიბლიოთეკა არის?

– როგორ არ არის! საგარეჯოში თეატრიც ფუნქციონირებს და კულტურის სახლიც. სხვათა შორის, მინდა, რომ საგარეჯოში ყოველ წელს ქართული ხალხური სიმღერის ფესტივალი ჩატარდეს.

– ისე, ვატყობ, სიმღერისკენ მიდრეკილება გაქვთ...

– (იღიმება) დედაჩემიც მღერის და ჩემი შვილებიც მღერიან.

მოკლედ, საგარეჯო მცხეთის ალტერნატივა უნდა გახდეს. ამას, რა თქმა უნდა, ისტორიული თვალსაზრისით არ ვამბობ, მაგრამ შეიძლება, შატოები გაკეთდეს და თბილისში სტუმრად ჩამოსული უცხოელი სტუმარი სადილად სწორედ საგარეჯოში დაპატიჟო. ყველაფერ ამის გაკეთება ძალიან მარტივია, მით უმეტეს, რომ მსგავსი, ასე ვთქვათ, პრაქტიკა უცხოეთში არსებობს.

– უცხოური პრაქტიკა, ალბათ, ისე უნდა გადმოვიღოთ, რომ ეროვნული ტრადიციები არ დავკარგოთ, არა?

– რა თქმა უნდა. სტუმარს, ვთქვათ, ქურხულების, ან პავლიაშვილების ღვინით გავუმასპინძლდებით და ესეც ქართული ტრადიციების ერთგვარი პოპულარიზაცია იქნება...

საგარეჯოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა კომუნალური მომსახურეობაა – ქუჩებში ნაგვის ურნები არ დგას. არადა, მიმაჩნია, რომ ნაგვის ურნები მხოლოდ ქალაქ საგარეჯოში კი არა, ყველა სოფელში უნდა იდგეს და ამის გადაჭრა მუნიციპალიტეტის დონეზე შეიძლება.

– ბატონო სოლომონ, იმედია, წლევანდელ არჩევნებზე თქვენი სლოგანი არ იქნება ნაგვის ურნა ყველა სოფელსო...

– (იცინის) ცხადია, არა. „მე ვიბრძვი, ვიბრძვი, ვიბრძვი, თითქოს ბოლო რინგია!“ – აი, ესაა ჩემი სლოგანი. ყველა ერთი ქვეყნის შვილები ვართ და ყველა ჩამოსულ კანდიდატს ვენაცვალე, მაგრამ საგარეჯოელებს დეპუტატად თანარაიონელი უნდათ!

– ამაში ლოგიკა, ალბათ, არის, მაგრამ საგარეჯოელებმა ხმა ერთხელ უკვე მოგცეს, თუმცა ამომრჩეველი, ასე ვთქვათ, მიატოვეთ და პარლამენტიდან აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადაინაცვლეთ..

– რა დასამალია და მაშინ ჯანდაცვაზე, დეპუტატის შუამდგომლობით, გადარიცხვები არსებობდა. ჰოდა, როგორც ახლა ვიგებ, 2 ათასზე მეტს დავხმარებივარ. გარდა ამისა, მაშინ რამდენიმე სკოლა გარემონტდა, წყლის სისტემა გაკეთდა... იმასაც ვერავინ იტყვის, რომ ტელეფონზე არ ვპასუხობდი. რაც შეეხება მინისტრობას, ესეც თავისთავად მოხდა – არც ლობისტები მყავდნენ, არც პარტიის ლიდერი ვიყავი, მაგრამ, მინისტრად ისე დავინიშნე, როგორც პროფესიონალი.

– ბატონო სოლომონ, ასე დარწმუნებული რატომ ხართ, რომ საგარეჯოელები პატივს გცემენ?

– ვიღაც ჩემ მიმართ კრიტიკულადაც იქნება განწყობილი. რა, შეცდომები მე არ დამიშვია? – რა თქმა უნდა, დამიშვია, მაგრამ საგარეჯოელების 80 პროცენტისთვის მისაღები ვარ. ქვეყანა საახლობლო მყავს, წარმოიდგინეთ, მანავში ძალიან დიდი საახლობლო მყავს – მამიდაშვილები და ბიძაშვილები, ვერხვიანში – მამიდაშვილები, ჩაილურში, ბადიაურსა და ყანდაურაში – სიძეები... აღარაფერს ვამბობ საგარეჯოზე, უამრავი საახლობლო და სამეგობრო მყავს. თავის ქებად არ ჩამითვალოთ და მხოლოდ სახელმწიფო სამსახურებში მუშაობის გამოცდილება როდი მაქვს, თითქმის 32 წელია, პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ვეწევი, მაგრამ მიუხედავად ამისა, პირველი ვიქნები, ვინც მის გვერდთ დავდგები, ვინც ჩემზე უკეთეს ე.წ. სივს წარმოადგენს, ანუ იმის თქმა მინდა, რომ პარლამენტში შემთხვევითი ხალხი აღარ უნდა მოხვდეს, პარლამენტში ის უნდა იყოს, ვისაც ხალხთან მუშაობაც შეუძლია და საპარლამენტოც, ვინც ქალაქიც იცის და სოფელიც, გლეხიც და ინტელიგენტიც... უფრო მეტსაც გეტყვით, რაც არ უნდა გაზვიადებული გეჩვენოთ, მე როგორც მაჟორიტარი სხვა და სხვა პარტიის წევრებისთვისაც მისაღები ვიქნები.

– საგარეჯო თქვენც გიყვართ?

– ამას რა კითხვა უნდა?

– თუ ასეა, მაშინ პატარა გამოცდას ჩაგიტარებთ: აბა, თუ იცით, საგარეჯოს საგარეჯო რატომ ჰქვია?

– როგორც ვიცი, ეს სახელი დავით გარეჯიდან მოდის.

– კეთილი... თქვენს სოფელს კაკაბეთი რატომ დაერქვა?

– ბევრი კაკაბი ყოფილა... „მოდი, უსმინე სათავის ნიავს, უჯარმულ მუხას, გარეჯულ კაკალს, სახოხბიჭალო ხოხბების კრიახს და კაკაბეთის კაკბების კაკანს...“

– მხოლოდ სიმღერა კი არა, როგორც ვხედავ, პოეზიაც გიყვართ...

– დიახ... სხვათა შორის, რეზო ინანიშვილიც საგარეჯოდან იყო და თეიმურაზ ჯანგულაშვილიც.

– ბატონო სოლომონ, რა ამის პასუხია და, დედის კულტი გაქვთ, არა?

– რა თქმა უნდა. ტარიელ ჭანტურიას ლექსი ხომ გახსოვთ? – „დედავ, არ მახსოვს, როცა კვდებოდი, გიტირე თუ არ გიტირე მაშინ, ახ, აგერ გუშინ გული მატკინეს, არავინ მყავდა მომფერებელი და მხოლოდ გუშინ გამოგიტირე...“ ვიდრე დედა გყავს, უნდა მოვეფეროთ! დედა ყოველთვის მართალია და, მორჩა, დამთავრდა, ამას ლაპარაკი არ უნდა! სხვათა შორის, დედმამიშვილებს ყველაფერს მივუტევებ, ცოლსა და შვილებს და მეგობარს – ვერა! ვერ წარმომიდგენია, და-ძმებს შორის გაუგებრობა როგორ უნდა იყოს, ბოლოს და ბოლოს, შენ დაუთმე... ოთხი შვილი მყავს, მაგრამ ძმას ვიფიცებ ხოლმე...

ოჯახთან ერთად

დედასთან, ქალბატონ ელენესთან ერთად

– სიტყვამ მოიტანა და, ოდესმე, თუნდაც, როგორც იტყვიან, ბიჭობაში მაინც გითქვამთ, აუ, ჩემი დედაო?

– არა, ეგეთი „ტიპი“ არ ვარ! სხვათა შორის, წლებია, თბილისში ვცხოვრობ, მაგრამ დიალექტიც კი ისევ კახური მაქვს! მე კაკაბეთელი ვარ და ამას არასდროს და არსად ვმალავ! ისევ ის სულიკო პავლიაშვილი ვარ, როგორიც 30-35 წლის წინ ვიყავი – ჩემი თანასოფლელებით, ჩემი ხალხით... საგარეჯოში დაკრძალვა არ გამომიტოვებია და ქორწილი – ზოგიერთივით კი არ ვარ, ხალხი მაშინ რომ ახსენდება, როცა არჩევნები მოდის!..

– გახსოვთ, დედამ ბოლოს როდის დაგტუქსათ?

– დედაჩემი სულ მტუქსავს. 83 წლისაა და მაგის მოსაწონი ჯერ არაფერი გამიკეთებია, მამაჩემზე ამბობს ხოლმე, პავლე რომ იყო, ისეთი არავინაა. ერთხელ ერთმა ჩემმა მეგობარმა, ცხონებულმა თენგიზ გაზდელიანმა დედაჩემს უთხრა, ქალბატონო ელიკო, ამ სულიკოსაგან რა გინდათ, აგერ, დოქტორი, პროფესორი გახდა, პარლამენტის წევრი და მინისტრიც იყო, ასეთი და ისეთია. კი მაგრამ, პავლე როგორი კაცი იყოო? დედაჩემმა მიუგო, ეჰ, ჩემო თენგო, პავლე დონე იყოო, დონეო. მერე გრიშა ონიანმა იხუმრა, ენციკლოპედიაში ვეძებდი, პავლე პავლიაშვილი ვინააო.

– თქვენ „დონე“ არ ხართ?

– (იცინის) დედაჩემისთვის „დონე“ მხოლოდ გარდაცვლილი მამაჩემია, რომელიც ერთი ჩვეულებრივი მეწარმე კაცი იყო. სხვათა შორის, 1999 წელს, არჩევნებზე მამაჩემის ავტორიტეტმა დიდი როლი ითამაშა, თუმცა ჩემი ავტორიტეტიც მქონდა – მაშინ 38 წლის ვიყავი და უკვე სადოქტორო დისერტაციაც დაცული მქონდა...

შინაურები ახლაც მეუბნებიან, ამ ბრძოლაში ჩართვა არ გინდოდა, ათასი მათრახი წამოვა, ზოგი იმას იტყვის, ზოგი – ამასო, მაგრამ ყველაფრისთვის მზად ვარ, საშუალება კიდევ ერთხელ მომეცა და ნაბიჯი უნდა გადავდგა, რადგან მერე არ ვინანო. ისე, არასოდეს გავჩერებულვარ – 2005 წლიდან, სხვა თუ არაფერი, 300-ზე მეტი ინტერვიუ მაქვს მიცემული...

– ეს გასაგებია, მაგრამ თქვენს ყველაზე დიდ ცოდვად და შეცდომად რას მიიჩნევთ?

შვილიშვილთან ერთად

– ასე ვერ გეტყვით, თუმცა შეცდომა, რა თქმა უნდა, დამიშვია. მონანიება კი გვიანი არასდროსაა!

– ბოდიშის მოხდა შეგიძლიათ?

– მიჭირს ხოლმე... შუაზე რომ გადამჭრათ, შეიძლება, ცრემლიც არ წამომივიდეს, მაგრამ ხალხის გაერთიანება და ის შემიძლია, რომ მტრები ერთმანეთის მოყვრებად ვაქციო. ჩემი მეგობრები და განსაკუთრებით მიხეილ ჯიბუტი ხშირად ამბობს, ეს შენი გამოკვეთილი თვისებაა.

– საერთოდ, ჭრელი სამეგობრო გყავთ...

– ჭრელი რატომაა? ჩემთვის მეგობრობას არც პოლიტიკური ორიენტაცია აქვს და არც – ცენზი, მეგობრებს არც შემოსავლების მიხედვით ვირჩევ და არც ასაკით. ისე, ჩემი მეგობრები ჩემზე უფრო მეტს ზრუნავენ, ვიდრე მე – მათზე. საერთოდ, გვერდით სულიერად ძალიან ძლიერი და ღირსეული ხალხი მიდგას!

– ბატონო სოლომონ, თანამდებობის პირი, იგივე დეპუტატი, თქვენი აზრით, ხალხის ტოლი და სწორი უნდა იყოს თუ ხალხს „ზემოდან უყურებდეს“?

– ამას რა კითხვა უნდა? – დეპუტატიც ისეთივე უნდა იყოს, როგორიც ხალხია! მე რომ დოქტორი და პროფესორი ვარ, ჩემი თანაკლასელი, ვთქვათ, მექანიზატორისგან არაფრით განვსხვავდები. შენი ცენზი შენთვის შეინახე და ხალხთან ჩვეულებრივი „ტიპი“ იყავი – გლეხსაც მოეფერე და ინტელიგენტსაც.

– მაგალითად, ვენახში გიმუშავიათ?

– რა თქმა უნდა, არც ვენახი მიკვირს, არც – ბარი და არც – თოხი.

– სიღარიბე გამოგიცდიათ?

– გააჩნია, სიღარიბეს რას ეძახით. სიმართლე რომ გითხრათ, ჩემი ოჯახი ყოველთვის შეძლებული იყო, მაგრამ ღარიბისაც მესმის და მდიდრისაც. იცით, ჩემი ყველზე დიდი პლუსი რა არის? – თანამდებობებმა არ გამაფუჭეს!

– ესე იგი, პოლიტიკამ არ გაგრყვნათ?

– არა! ბევრი ძლიერი მხოლოდ მაშინაა, როცა თანამდებობაზეა და სკამს რომ გამოაცლი, აღარც ძალა აქვს და აღარც – უნარი. მე კი, არც ერთი თანამდებობა თავში არ ამვარდნია და, თანამდებობიდან რომ წამოვსულვარ, არც დავჩაჩანაკებულვარ!

სხვათა შორის, წეღან უნდა მეთქვა და დამავიწყდა, დეპუტატი რომ გავხდები, ე.წ. პროფესიონალი ეკონომისტებისგან ე.წ. საკონსულტაციო ჯგუფს შევქმნი, რომელიც ყოველ კვირას, საგარეჯოში, ჩემს ოფისში ჩავა და ხალხს კონსულტაციებს გაუწევს, ვთქვათ, ბიზნესგეგმა როგორ შეადგინოს. ასევე, მოსახლეობას უფასო იურიდიულ კონსულტაციებსაც შევთავაზებ, რომ იცოდეს, მაგალითად, სახლს იპოთეკით რომ დატვირთავს, ამას რა შეიძლება მოჰყვეს.

– მაშასადამე, მეც და საზოგადოებასაც არწმუნებთ, რომ საგარეჯოსგან ბრენდს გააკეთებთ?

– დიახ. ყოველ შემთხვევაში, ეჭვი არავის ეპარება, რომ ძლიერი მაჟორიტარი ვიქნები!

– „ცუდას რად უნდა მტერობაო“ და... „პადნოშკებსაც“ დაგიდებენ...

– ამისთვისაც მზად ვარ! 6 წელია, „თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის“ რექტორი ვარ და ვისაც რა უნდა, თქვას, მაგრამ ჩემზე სათქმელი რა არის? – კი ბატონო, შევარდნაძის დროს დეპუტატი და მინისტრი ვიყავი, მაგრამ ჩემი ხალხისთვის არასდროს მიღალატია, გამართული ოჯახი მაქვს, ოთხი შვილი და ერთი შვილიშვილი მყავს, მალე მეორესაც ველოდები... თამამად ვამბობ: საგარეჯოში მამაპაპისეული სახლ-კარის მეტი არფერი მაქვს, არადა, ბევრმა თავის რეგიონში ყველაფერში ცხვირი ჩაყო.

– ესე იგი, ბიზნესი არ გაქვთ?

– რა ბიზნესი უნდა მქონდეს? როგორც გითხარით, „თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის“ რექტორიც ვარ, დამფუძნებელიც. საკმაოდ მაღალი ანაზღაურება მაქვს. ასევე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორიც.

– ხელფასი რამდენი გაქვთ?

– ეს არაეთიკური კითხვაა.

– კი ბატონო, მაგრამ ამის შესახებ შეიძლება, წესიერ ქვეყნებში არ ლაპარაკობენ, თუმცა, ჩვენ ხომ წესიერი ქვეყანა არ ვართ, თან წესიერ ქვეყნებში არც რექტორები მიდიან პოლიტიკაში!

– როგორ გეკადრებათ! ავიღოთ, იმავე აშშ-ში, სადაც თითქმის ყველა სენატორი თუ კონგრესმენი თავისი რეგიონის მკვიდრია.

– მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ საგარეჯოს მაჟორიტარობას გეგმავთ, პარტიებმა თქვენთან ხიდების გადება დაიწყეს?

– რაღაც შემოთავაზებები არის, მაგრამ ამ ეტაპზე დამოუკიდებელი ვარ და ხალხს ისე ვხვდები, როგორც მეგობარი. საერთოდ, ჩემთან კომუნიკაცია ძალიან ადვილია.

– როგორ ფიქრობთ, ქარიზმა გაქვთ?

– (იცინის) ვერ მატყობთ, რომ მაქვს?!

– ვთქვათ, ახლა რიგითმა საგარეჯოელმა დაგირეკათ და გითხრათ, რომ პრობლემა აქვს და საგარეჯოში ჩასვლა გთხოვათ, წახვალთ?

– რა თქმა უნდა!

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სულ რამდენი სოფელია?

– 25 თემია ქალაქ საგარეჯოს ჩათვლით.

– ყველა თემში ხართ ნამყოფი?

– რას ლაპარაკობთ, ამას რას მეკითხებით – ზოგან რამდენჯერმეც ვარ ნამყოფი. ყველგან ოჯახით მიცნობენ. ზოგმა ხმები თავის სოფლშიც ვერ აიღო და უკვირს, ხომ კარგი პოლიტიკოსი ვარ და ასე რატომ მოხდაო. რატომ და, – ძმაო, დახურული ხარ, არც ჭირში დადიხარ და არც – ლხინში, ხალხს მოწყვეტილი ხარ და სახლში ქურდულად იპარები ხოლმე. მე კი, მისასვლელი ყველგან და ყველასთან მაქვს! სხვათა შორის, კონკურენტების კრიტიკა არ მიყვარს, მე ჩემი საქმე მაქვს, რომელიც ბოლომდე უნდა მივიყვანო და ვისაც რა უნდა, ის ილაპარაკოს!

– ბატონო სოლომონ, თქვენთვის სამშობლო საიდან იწყება?

– პირველ რიგში, ჩემი სოფლიდან, კაკაბეთიდან! მერე მოდის საგარეჯო, კახეთი და მერე – მთელი საქართველო!

– წარმატებებს გისურვებთ, ბატონო სოლომონ!

გიორგი ქურხული

ვინ არის ვლადიმერ გროისმანი

ჩვენ უკვე ვწერდით, რომ უკრაინას ახალი პრემიერი ჰყავს. პარლამენტმა ამ თანამდებობაზე ვლადიმერ გროისმანი დაამტკიცა.

ვლადიმერ ბორისის ძე გროისმანი 1978 წელს ვინიცაში დაიბადა. მას ორი დიპლომი გააჩნია, იურისტისა და სახელმწიფო მართვის სპეციალისტის. დაამთავრა უკრაინის პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო მართვის ეროვნულ აკადემია.

გროისმანი ბიზნესმენის ოჯახში აღიზარდა, შრომითი საქმიანობაც მამამისის ფირმაში დაიწყო.

– 14 წლის ვიყავი, როცა მამაჩემის ფირმაში ხარატად დავიწყე მუშაობა, – ამბობს გროისმანი.

ბიზნესმენის შვილი ხშირ შემთხვევაში თავად ხდება ხოლმე ბიზნესმენი. გროისმანიც ამ მხრივ გამონაკლისი არ ყოფილა. საქმეს წარმატებით გაუძღვა და მოკლე ხანში მნიშვნელოვანი კაპიტალის მფლობელი გახდა. ამის შემდეგ იწყება მისი პოლიტიკური კარიერა. გროისმანი იყო ვინიცის საქალაქო საბჭოს დეპუტატი, შემდეგ – ქალაქის მერი. ამ თანამდებობაზე ყოფნისას თავი გამოიჩინა, როგორც კარგმა მეურნემ და პიროვნებამ, რომელსაც საერთო ენის გამოძებნა ყველასთან შეუძლია.

ამან მისი შემდგომი წარმატებებიც განაპირობა. გროისმანი ხდება უკრაინის ვიცეპრემიერი, პარლამენტის დეპუტატი, შემდეგ კი – სპიკერი.

გროისმანის პოლიტიკური კარიერა დიდად განაპირობა პეტრო პოროშენკოს მხარდაჭერამ. გროისმანი მისი დიდი ხნის მეგობარი და ბიზნესპარტნიორია.

ბევრი ექსპერტი თვლის, რომ გროისმანი პარლამენტში პეტრო პოროშენკოს რუპორს წარმოადგენდა და პრეზიდენტის ხაზს ატარებდა. ზოგიერთი პოლიტოლოგი აცხადებს, რომ გროისმანის საქმიანობა არ იყო გამჭვირვალე, რომ პარლამენტის სპიკერის პოსტზე ის უპირატესობას კულისებს მიღმა შეთანხმებებს აძლევდა და ა.შ.

ექსპერტ რუსლან ბორტნიკის აზრით, გროისმანის გაპრემიერება პოროშენკოს უდიდესი გამარჯვებაა, რადგან ამ პოსტზეც ის პრეზიდენტის ინტერესების გამტარებელი იქნება.

ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ ეთანხმება ცნობილი სპეციალისტი ფისენკო.

– გროისმანი ჭკვიანი და ეშმაკია საიმისოდ, რომ ვიღაცის ნების მორჩილი შემსრულებელი არ გახდეს. ის დამოუკიდებელ ფიგურად ჩამოყალიბდება, – აცხადებს ფისენკო.

ნიკა თევზაძე

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

ტერორისტ ზერკანის 15 წლით პატიმრობა მიუსაჯეს

ბრიუსელის სასამართლომ ტერორისტ ზერკანის საქმე განიხილა.

გამოძიებით დამტკიცდა, რომ ზერკანი პარიზისა და ბრიუსელის ტერაქტების იდეური ხელმძღვანელი იყო. სწორედ მან დაიყოლია ამ ტერაქტების მონაწილენი, რათა მსგავსი ნაბიჯები გადაედგათ.

ამას გარდა, ზერკანიმ ისლამისტი ექსტრემისტების რიგებში ასობით ახალგაზრდა გადაიბირა. ზოგიერთი მათგანი სირიაში საომრად გაემგზავრა, ზოგი ევროპაში ტერაქტებისათვის ემზადებოდა.

ზერკანის 15 წლით პატიმრობა მიესაჯა.

ინციდენტი ბალტიის ზღვაში

ბალტიის ზღვაში ნატოს სწავლება მიმდინარეობს. ამერიკულ ავიამზიდ „დონალდ კუკს“, რომელიც ნეიტრალურ წყლებში იმყოფებოდა, რუსული ბომბდამშენი მიუახლოვდა. რუსები იმდენად დაბლა მიფრინავდნენ, რომ ტალღა აზვირთდა.

– ეს იყო ნამდვილი პროვოკაცია, – ასე შეაფასა მომხდარი თეთრი სახლის წარმომადგენელმა ჯოშუა ერნსტმა.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ ქერიმ განაცხადა, რომ ამერიკას სრული უფლება ჰქონდა, რუსული თვითმფრინავი ჩამოეგდო.

– რუსებმა შეტევის იმიტაცია განახორციელეს. ამჯერად ჩვენმა სამხედროებმა შესაშური მოთმინება გამოიჩინეს და ცეცხლი არ გახსნეს, თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მუდამ ასე იქნება, – თქვა ქერიმ.

რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ ამერიკელების რეაქციას ავადმყოფური უწოდა. რუსების განცხადებაში ნათქვამია, რომ თვითმფრინავი ჩვეულებრივ მანევრს ახორციელებდა და ამაში საერთაშორისო სამართლის დარღვევის ნიშნებიც კი არ ჩანს.

– პუტინი თავნება ბავშვივით იქცევა და ხულიგნობს. ამას იმიტომ ჩადის, რომ ამერიკის ამჟამინდელი ადმინისტრაცია ამის ნებას აძლევს. სამწუხაროდ, ბევრს ვერ შეუგნია, რომ თავნება ბავშვის დაშოშმინება შეუძლებელია. ასეთი ბავშვი უნდა დაისაჯოს, – განაცხადა სენატორმა მაკეინმა.

პუტინი: „ობამა წესიერი კაცია“

შედგა ვლადიმერ პუტინის ტრადიციული პირდაპირი ტელეხაზი თანამემამულეებთან. შეკითხვაზე, რა კომენტარს გააკეთებდით ობამას სიტყვებზე, რომ ლიბიაში სამხედრო ოპერაცია შეცდომა იყოო, პუტინმა მიუგო:

– ობამა წესიერი კაცია! ის პატიოსნად აღიარებს, რომ შეცდა!

ამავე დროს, ვლადიმერ ვლადიმეროვიჩმა თქვა, რომ მსგავსი შეცდომა აშშ-მ კინაღამ სირიაშიც გაიმეორა.

– სამწუხაროდ, ასეთი შეცდომების კასკადი არ წყდება, – განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ყაზახეთი და ატომური იარაღი

რუსეთმა და აშშ-მ გამოაცხადეს, რომ მზად არიან, წარმართონ მოლაპარაკებები საკუთარი ბირთვული პოტენციალების შეკვეცის შესახებ. მთავარ გეოპოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, რომელთათვის ბირთვული იარაღი ყოველთვის წარმოადგენდა ურთიერთშეკავების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, როგორც ჩანს, ესმით, რომ საერთაშორისო უსაფრთხოების წინაშე არსებული გაზრდილი საფრთხეების პირობებში ატომი მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი უნდა იყოს.

დღესდღეობით მსოფლიოში იმდენი ბირთვული იარაღია, რომ იგი სავსებით საკმარისია მთელი პლანეტის გასანადგურებლად. ამასთან, არა ერთხელ და ორჯერ. ძლიერ ატომურ ბომბს სულ რაღაც წამებში შეუძლია აღგავოს პირისაგან მიწისა მილიონიანი ქალაქი. ამიტომ განიარაღების საკითხი დღეს, როდესაც ბირთვული იარაღი ტერორისტების ხელში შეიძლება აღმოჩნდეს, აქტუალურია როგორც არასდროს. და ეს ყველას ესმის. სწორედ ამიტომ ვაშინგტონში გამართულმა ბირთვული უსაფრთხოების სამიტმა თავი მოუყარა პლანეტის თითქმის ორმოცდაათი ქვეყნის ლიდერს. პირველს სიტყვა ამ წარმომადგენლობით ფორუმზე მიეცა ყაზახეთის პრეზიდენტს. დღეს ეს ქვეყანა ყველა დანარჩენ ქვეყნებს აჩვენებს მაგალითს იმისა, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ატომის პოტენციალი.

ყაზახეთი მსოფლიო ლიდერია ურანის მადნის მოპოვებისა და მარაგების სფეროში, მადნისა, რომელიც რთული და უაღრესად ძვირადღირებული გამდიდრების პროცესის შედეგად პოტენციურად შეიძლება იქცეს საფუძვლად ბირთვული იარაღის შესაქმნელად. თუმცა ყაზახეთის შემთხვევაში მსოფლიო თანამეგობრობა შეიძლება მშვიდად იყოს: ქვეყანა თავისი ისტორიის განმავლობაში უკვე ფლობდა ბირთვულ იარაღს – არც მეტი, არც ნაკლები, სიდიდით მეოთხე არსენალს მსოფლიოში, რომელიც მას მემკვიდრეობით დარჩა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. მაგრამ ყაზახეთმა ნებაყოფლობით უარი განაცხადა მასზე, მიუხედავად იმისა, რომ გააჩნდათ სპეციალისტებიც და ყველა საჭირო ინფრასტრუქტურა სამხედრო ბირთვული პროგრამის სარეალიზაციოდ. მაგრამ ყაზახეთის პრეზიდენტს ნურსულთან ნაზარბაევს მაშინაც მიაჩნდა და იგი ახლაც არის დარწმუნებული, რომ ნებისმიერი ქვეყნისთვის უსაფრთხოების რეალური გარანტიების მიცემა შეუძლია მხოლოდ მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ნაცვლად „წითელი ღილაკისა“.

უნდა ვაღიაროთ, რომ მსოფლიო პრაქტიკამ უკვე დაამტკიცა ამგვარი პოზიციის სისწორე. ერთის ან ორივე მხარის ხელთ არსებულმა ბირთვულმა იარაღმა ხელი არ შეუწყო უახლესი ისტორიის არცერთი კონფლიქტის შეკავებაში. და იგი მითუმეტეს უმოქმედოა ეროვნულ-ეთნიკური კონფლიქტებისა და ტერორიზმთან ბრძოლის შემთხვევაში. მაგალითად, ბირთვულმა პოტენციალმა არ უზრუნველყო უსაფრთხოება პაკისტანში – ქვეყანაში, რომელიც უკვე თითქმის 18 წელია, რაც „ბირთვული კლუბის“ წევრია. იქ ტერორისტული საფრთხის დონე უბრალოდ ზღვარს არის გადასული. ბოევიკების თავდასხმების რაოდენობით პაკისტანი პირველ სამეულში შედის ერაყთან და ავღანეთთან ერთად. ბოლო თავდასხმა ტერორისტებმა განახორციელეს 27 მარტს ლაჰორში. მაშინ დაიღუპა 70 ადამიანი, დაახლოებით 300 დაიჭრა. ამ სიებში უმრავლესობა ქალები და ბავშვებია. ტერორისტებმა აფეთქება მოაწყვეს უშუალოდ საბავშვო პარკთან. ტერაქტის გამო პაკისტანის პრემიერ-მინისტრმა ნავაზ შარიფმა გააუქმა გამგზავრება სამიტზე ვაშინგტონში, მიუხედავად იმისა, რომ მას იქ ძალიან ელოდნენ. ფლობს რა სოლიდურ ბირთვულ პოტენციალს, პაკისტანი კვლავ უარზეა მიუერთდეს მნიშვნელოვან საერთაშორისო შეთანხმებებს, რომლებიც შეეხება ატომის სფეროს. მაგალითად, პაკისტანმა, ინდოეთთან და ისრაელთან ერთად, უარი განაცხადა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე. ისლამაბადში, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ბოლომდე არ ესმით, რომ დღევანდელ პირობებში ბირთვული იარაღი მისი მფლობელი ქვეყნისთვის უფრო მეტად საფრთხეა, ვიდრე უსაფრთხოების გარანტია. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ტერორისტული საფრთხის დონე ამხელა მასშტაბებს აღწევს.

სწორედ ტერორისტების მიერ მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენების საფრთხის შესახებ და იმაზე, რომ დღეს ეს საფრთხე რეალობად იქცევა და მოითხოვს კონკრეტულ ქმედებებს მსოფლიო ლიდერებისაგან, საუბრობდა ყაზახეთის პრეზიდენტი სამიტზე ვაშინგტონში. ნურსულთან ნაზარბაევმა კვლავ გააჟღერა თავისი იდეა ყველა ქვეყნის მონაწილეობით ტერორიზმთან ბრძოლის გლობალური ქსელის შექმნის შესახებ. სხვათა შორის, პირველად ასეთი ინიციატივით ყაზახეთის ლიდერი გამოვიდა ჯერ კიდევ გასული წლის სექტემბერში გაეროს ტრიბუნიდან, ტერაქტებამდე პარიზსა და ბრიუსელში. თუმცა მხოლოდ ევროპის შუაგულში განხორციელებული სისხლიანი თავდასხმების შემდეგ კოალიციაში გაერთიანების აუცილებლობის შესახებ ასევე ალაპარაკდნენ დანარჩენი მსოფლიო ლიდერები.

თავის გამოსვლაში ნურსულთან ნაზარბაევმა წარმოადგინა ახალი პარადიგმა ბირთვული უსაფრთხოების სფეროში, რომელიც ითვალისწინებს ძველ სისტემაზე უარის თქმას. სისტემის ფუნქციონირების რეგლამენტირებას ახდენს მრავალი დოკუმენტი ატომის სფეროში, და არცერთი მათგანი სრულად არ მუშაობს. ნაზარბაევმა შესთავაზა მათი გაერთიანება ერთ დოკუმენტად – ახალ უნივერსალურ ხელშეკრულებად ბირთვული იარაღის საყოველთაო სრული გაუვრცელებლობისა და განადგურების შესახებ. ასეთი ხელშეკრულება შეძლებდა გამოერიცხა „ორმაგი სტანდარტების“ გამოყენება და უზრუნველეყო მისი დამრღვევების მიმართ ჯარიმების ქმედითი მექანიზმების გამოყენება. ამასთან, ოფიციალური ასტანა სთავაზობს ბირთვული იარაღის შექმნის პროცესის თავიდან აცილებას და ისეთი მეცნიერული აღმოჩენების გამოყენების აკრძალვას, რომლებსაც შეუძლიათ ამისათვის ხელის შეწყობა.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ყაზახეთი არ მოუწოდებს სრული უარის თქმისკენ ატომზე. პირიქით, ოფიციალური ასტანა აქტიურად მხარს უჭერს ბირთვული ენერგეტიკის, როგორც მსოფლიო ენერგოუზრუნველყოფის მნიშვნელოვანი სფეროს, განვითარებას. დღეს დედამიწის მოსახლეობის მესამედზე ოდნავ ნაკლებისთვის საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი ელექტროენერგია. ამასთან, პლანეტის მოთხოვნილება იზრდება და, სავარაუდოდ, 20 წლის შემდეგ ენერგიის მოხმარება გაიზრდება მინიმუმ ორჯერ. ამიტომ პროგრესი ბირთვული ენერგეტიკის სფეროში გლობალური მდგრადი განვითარების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ფაქტორად არის მიჩნეული.

ასტანაში ეს ესმით და იქ არა მარტო შესთავაზეს, არამედ რეალიზება მოახდინეს ინიციატივისა, რომელიც შესაძლებელს გახდის ბირთვული ენერგეტიკის უზრუნველყოფას საჭირო საწვავით – დაბალგამდიდრებული ურანით, იმ საფრთხის გარეშე, რომ რომელიღაც ქვეყანა გადალახავს ზღვარს და დაიწყებს მადნის გამდიდრებას იმ დონემდე, როდესაც იგი უკვე შეიძლება გამოყენებული იქნეს იარაღის შესაქმნელად. ამ მიზნით ყაზახეთი დათანხმდა განათავსოს საკუთარ ტერიტორიაზე მაგატე-ს მსოფლიოში პირველი დაბალგამდიდრებული ურანის ბანკი. მომავალში ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც მოისურვებს ბირთვული ენერგიის გამოყენებას მშვიდობიანი მიზნით, შეძლებს ისარგებლოს მისი რესურსებით. მაშინ მას უბრალოდ აღარ ექნება იმის საჭიროება, რომ დამოუკიდებლად განავითაროს და შექმნას გასამდიდრებელი დანადგარები.

ამ კონტექსტში გასაგებია, რომ როდესაც საერთაშორისო არენაზე ყაზახეთს უწოდებენ ნიმუშს და მაგალითს ბირთვული განიარაღებისა და გაუვრცელებლობის სფეროში, ეს არ არის ლიტონი სიტყვები, არამედ სიტყვები, გამყარებული საქმით, იმ ქმედებებით, რომლებიც ყაზახეთმა განახორციელა ბოლო მეოთხედი საუკუნის განმავლობაში. ქვეყანა, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბირთვული საფრთხის ერთერთი ცენტრი იყო, უსაფრთხოებისა და მშვიდობიანი ატომის განვითარების გლობალურ ცენტრად იქცა.

ზაზა მეზვრიშვილი

ევროპაში რიგითი ტურია

სტატისტიკა, ფსონები

ევროპაში ჩემპიონატები დასასრულს უახლოვდება და დაძაბულობა არ აკლია. ვინ ჩემპიონობისთვის იბრძვის, ვინ – ევროსაგზურებისთვის, ზოგიც კიდევ ელიტიდან გავარდნას არიდებს თავს. ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მატჩი იტალიაშია, სადაც ინტერი საკუთარ სტადიონზე დაუხვდება ნაპოლის.

მეტი ზედმეტად გამორჩეული მატჩი არ არის, მაგრამ მოსაწყენადაც არავის ეცლება.

ინგლისი

16.04 ნორვიჩი-სანდერლენდი	2.37	3.25	3.0
16.04 მანჩესტერი-ასტონ ვილა	1.22	5.5	17.0
16.04 ნიუკასლი-სუონსი	2.37	3.2	3.1
16.04 ევერტონი-საუთჰემპტონი	2.4	3.25	2.9
16.04 ვესტ ბრომვიჩი-უოტფორდი	2.3	3.2	3.2
16.04 ჩელსი-სიტი	2.5	3.3	2.8
17.04 ბორნმუთი-ლივერპული	3.5	3.4	2.1
17.04 ლესტერი-ვესტ ჰემი	1.91	3.5	4.0
17.04 არსენალი-კრ.პალასი	1.35	4.8	9.0
18.04 სტოკი-ტოტენჰემი	4.4	3.5	1.83

ნორვიჩი-სანდერლენდი

ნორვიჩი: ***ტრავმ***-ტიმ კლოზე, ალექსანდერ ტეტეი

სანდერლენდი: ***ტრავმ***-არავინ

მანჩესტერი-ასტონ ვილა

მანჩესტერი: ***ტრავმ***-ტიმოტი ფოსუ-მენსა, ედნან იანუზაი, ბასტიან შვაინშტაიგერი, უილიამ კინი, ლუკ შოუ

ასტონ ვილა: ***ტრავმ***-ჯეკ გრილიში, ჯორდან ამავი

ნიუკასლი-სუონსი

ნიუკასლი: ***ტრავმ***-სტივენ ტეილორი, დარილ იანმაატი, რობერტ ელიოტი, კევინ მბაბუ, ტიმ კრული, მასადიო ჰაიდარა

სუონსი: ***ტრავმ***-არავინ

ევერტონი-საუთჰემპტონი

ევერტონი: ***ტრავმ***-ფილ იაგიელკა, ტიას ბრაუნინგი

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-ჩარლი ოსტინი

ვესტ ბრომვიჩი-უოტფოთი

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-კრის ბრანტი, ჯეიმს მორისონი

უოტფორდი: ***ტრავმ***-ეტიენ კაპუ

ჩელსი-სიტი

ჩელსი: ***ტრავმ***-წილიანი, ჯონ ტერი, ლოიკ რემი, კურტ ზუმა

სიტი: ***ტრავმ***-რაჰიმ სტირლინგი

ბორნმუთი-ლივერპული

ბორნმუთი: ***ტრავმ***-ტოკელო რანტიე, ბენიკ აფობე, ჰარი არტერი, ტაირონ მინგსი

ლივერპული: ***ტრავმ***-ჯორდან ჰენდერსონი, კრისტიან ბენტეკე, ჯოზეფ გომესი, დანი ინგსი; ***დისკვ***-ემრე კანი

ლესტერი-ვესტ ჰემი

ლესტერი: ***ტრავმ***-არავინ

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-დიაფრა სისოკო

არსენალი-კრ.პალასი

არსენალი: ***ტრავმ***-ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი, სანტი კაზორლა

კრ.პალასი: ***ტრავმ***-ბრედ ჰანგელანდი, მარუან შამახი, ჯეიმს მაკარტური

სტოკი-ტოტენჰემი

სტოკი: ***ტრავმ***-ჯონათან უოლტერსი, მარკ უილსონი; ***დისკვ***-ერიკ პიტერსი

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-ნაბილ ბენტალები

სატურნირო ცხრილი:

1.ლესტერი	33	21	9	3	57-31	72
2.ტოტენჰემი	33	18	11	4	60-25	65
3.არსენალი	32	17	8	7	55-33	59
4.სიტი	32	17	6	9	58-33	57
5.მანჩესტერი	32	15	8	9	39-30	53
6.ვესტ ჰემი	32	13	13	6	52-40	52
7.საუთჰემპტონი	33	14	8	11	44-34	50
8.ლივერპული	31	13	9	9	50-42	48
9.სტოკი	33	13	8	12	37-43	47
10.ჩელსი	32	11	11	10	49-42	44
11.ბორნმუთი	33	11	8	14	40-55	41
12.ევერტონი	32	9	13	10	52-43	40
13.სუონსი	33	10	10	13	34-42	40
14.ვესტ ბრომვიჩი	32	10	10	12	31-39	40
15.უოტფორდი	32	10	8	14	31-37	38
16.კრ.პალასი	33	10	8	15	35-42	38
17.ნორვიჩი	33	8	7	18	35-57	31
18.სანდერლენდი	32	6	9	17	36-57	27
19.ნიუკასლი	32	6	7	19	32-61	25
20.ასტონ ვილა	33	3	7	23	23-64	16

ესპანეთი

16.04 ხეტაფე-რეალი	9.0	5.5	1.3
16.04 ლას პალმასი-ხიხონი	1.91	3.5	4.0
16.04 ეიბარი-სოსიედადი	2.62	3.25	2.7
16.04 სელტა-ბეტისი	1.6	4.2	5.0
17.04 მალაგა-ბილბაო	2.62	3.2	2.75
17.04 სევილია-დეპორტივო	1.44	4.6	6.5
17.04 ატლეტიკო-გრანადა	1.25	5.5	13.0
17.04 რაიო-ვალიარეალი	2.6	3.3	2.7
17.04 ბარსელონა-ვალენსია	1.12	8.5	19.0

ხეტაფე-ხეალი

ხეტაფე: ***ტრავმ***-ემელიანო ველასკესი; ***დისკვ***-ალვარო მედრანი

რეალი: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-დანილო

ლას პალმასი-ხიხონი

ლას პალმასი: ***ტრავმ***-ხავი კასტელანო

ხიხონი: ***ტრავმ***-რობერტო კანელა, ალექს მენენდესი, ბერნარდო ესპინოსა; ***დისკვ***-ნაჩო კასესი

ეიბარი-სოსიედადი

ეიბარი: ***ტრავმ***-ბორხა ეკიზა

სოსიედადი: ***ტრავმ***-კარლოს მარტინესი, ოიერ ოლაზაბალი, იმანოლ აგირეჩე, სერხიო კანალესი

სელტა-ბეტისი

სელტა: ***ტრავმ***-ნესტორ დიასი, ენდრიუ ფონტასი

ბეტისი: ***ტრავმ***-კრისტიანო პიცინი

მალაგა-ბილბაო

მალაგა: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-რობერტო როსალესი

ბილბაო: ***ტრავმ***-საბინ მერინო, აიმერიკ ლაპორტე

სევილია-დეპორტივო

სევილია: ***ტრავმ***-ბენუა ტრემულანისი, მარკო ანდრეოლი

დეპორტივო: ***ტრავმ***-გერმან ლუქსი; ***დისკვ***-ალეხანდრო არიბასი

ატლეტიკო-გრანადა

ატლეტიკო: ***ტრავმ***-ტიაგო; ***დისკვ***-ფელიპე ლუისი

გრანადა: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-ისააკ სუკესი

რაიო-ვალიარეალი

რაიო: ***ტრავმ***-ტონო, ჯოზაბედი, პატრიკ ებერტი; ***დისკვ***-რაულ ბაენა, იოელ როდრიგესი

ვალიარეალი: ***ტრავმ***-დანიელე ბონერა, მარეო მუკაჩიო; ***დისკვ***-ბრუნო, ანტონიო რუკავინა

ბარსელონა-ვალენსია

ბარსელონა: ***ტრავმ***-ტომას ვერმალენი, სანდრო რამირესი; ***დისკვ***-არდა თურანი

ვალენსია: ***ტრავმ***-პაბლო პიატი, ზაკარია ბაკალი

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	32	24	4	4	87-27	76
2.ატლეტიკო	32	23	4	5	54-16	73
3.რეალი	32	22	6	4	93-29	72
4.ვილიარეალი	32	17	9	6	41-26	60
5.სელტა	32	15	7	10	45-52	52
6.ბილბაო	32	15	6	11	50-40	51
7.სევილია	32	13	9	10	45-39	48
8.მალაგა	32	10	11	11	30-29	41
9.სოსიედადი	32	11	8	13	40-42	41
10.ლას პალმასი	32	11	6	15	37-44	39
11.ეიბარი	32	10	8	14	43-48	38
12.დეპორტივო	32	7	16	9	41-47	37
13.ბეტისი	32	9	10	13	29-45	37
14.ვალენსია	32	9	10	13	36-39	37
15.ესპანიოლი	32	10	6	16	33-60	36
16.რაიო	32	7	10	15	43-64	31
17.გრანადა	32	7	9	16	33-57	30
18.ხიხონი	32	7	7	18	32-53	28
19.ხეტაფე	32	7	7	18	28-56	28
20.ლევანტე	32	6	7	19	28-55	25

გერმანია

16.04 ლევერკუზენი-აინტრახტი	1.4	4.75	7.5
16.04 დარმშტადი-ინგოლშტადი	2.5	3.2	2.9
16.04 ჰოფენჰაიმი-ჰერტა	2.45	3.4	2.8
16.04 აუგსბურგი-შტუტგარტი	2.37	3.75	2.7
16.04 ვერდერი-ვოლფსბურგი	2.45	3.6	2.7
16.04 ბაიერნი-შალკე	1.18	7.5	13.0
17.04 დორტმუნდი-ჰამბურგი	1.3	5.0	11.0
17.04 მაინცი-კიოლნი	2.15	3.3	3.4

ლევერკუზენი-აინტრახტი

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-რობი კრუზე, კირიაკოს პაპადოპულოსი, ომერ ტოპრაკი, რობერტო ჰიბერტი, კევინ კამპლი

აინტრახტი: ***ტრავმ***-ალექსანდერ მეიერი, სლობოდან მედოიევიჩი, იაონეს ფლუმი

დარმშტადი-ინგოლშტადი

დარმშტადი: ***ტრავმ***-იან როზენტალი

ინგოლშტადი: ***ტრავმ***-დანილო სოარესი

ჰოფენჰაიმი-ჰერტა

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-პირმინ შვეგლერი

ჰერტა: ***ტრავმ***-ტომას კრაფტი, რონი, იოანეს ვან დერ ბერგი, ჯონ ბრუკსი

აუგსბურგი-შტუტგარტი

აუგსბურგი: ***ტრავმ***-პოლ ვერაე, იი დონგ ვონგი, იან მორავეკი, იან-ინგვერ კალსენ-ბრაკერი

შტუტგარტი: ***ტრავმ***-სერეი დიე, მარტი რისტი, კევინ გროსკროიცი, არიანიც ფერატი, დანიელ გინსეკი

ვერდერი-ვოლფსბურგი

ვერდერი: ***ტრავმ***-კლემენს ფრიცი, კლაუდიო პიზარო, ფილიპ ბაგფრეიდი, არონ იოჰანსონი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-ნიკლას ბენდტნერი, სებასტიან იუნგი

ბაიერნი-შალკე

ბაიერნი: ***ტრავმ***-მეჰდი ბენატია, არიენ რობენი, ჰოლგერ ბადშტურბერი, ჟერომ ბოატენგი

შალკე: ***ტრავმ***-ლეონ გორეცკა, მარკო ჰოგერი, ბენედიკტ ჰოივედესი, მატია ნასტასიჩი

დორტმუნდი-ჰამბურგი

დორტმუნდი: ***ტრავმ***-ნევენ სუბოტიჩი

ჰამბურგი: ***ტრავმ***-ნიკოლაი მიულერი, ანდრეას ჰირცელი, ივიცა ოლიჩი, იოსიპ დრმიჩი

მაინცი-ჰიოლნი

მაინცი: ***ტრავმ***-სუატ სერდარი, იოშინორი მუტო, დევანტე პარკერი

კიოლნი: ***ტრავმ***-ფრედერიკ სორენსენი, მილოშ ჯოჯიჩი

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	29	24	3	2	69-14	75
2.დორტმუნდი	29	21	5	3	69-30	68
3.ჰერტა	29	14	7	8	39-34	49
4.ლევერკუზენი	29	14	6	9	44-33	48
5.გლადბახი	29	14	3	12	59-45	45
6.მაინცი	29	13	6	10	40-36	45
7.შალკე	29	13	6	10	41-40	45
8.ვოლფსბურგი	29	10	9	10	40-38	39
9.ინგოლშტადტი	29	10	9	10	27-31	39
10.ჰამბურგი	29	9	7	13	35-40	34
11.კიოლნი	29	8	10	11	29-37	34
12.შტუტგარტი	29	9	6	14	46-59	33
13.დარმშტადტი	29	7	11	11	32-44	32
14.ჰოფენჰაიმი	29	7	10	12	33-44	31
15.აუგსბურგი	29	7	9	13	37-48	30
16.ვერდერი	29	7	7	15	39-59	28
17.აინტრახტი	29	6	9	14	29-46	27
18.ჰანოვერი	29	5	3	21	24-54	18

იტალია

16.04 ბოლონია-ტორინო	2.7	3.1	2.7
16.04 კარპი-ჯენოა	2.5	3.2	2.87
16.04 ინტერი-ნაპოლი	2.7	3.25	2.62
17.04 ატალანტა-რომა	4.8	3.6	1.75
17.04 ფიორენტინა-სასუოლო	1.8	3.6	4.4
17.04 უდინეზე-კიევო	1.91	3.3	4.33
17.04 იუვენტუსი-პალერმო	1.15	7.0	21.0
17.04 ვერონა-ფროზინონე	1.85	3.75	4.0
17.04 ლაციო-უმპოლი	1.75	3.6	4.75
17.04 სამპდორია-მილანი	2.9	3.25	2.45

ბოლონია-ტორინო

ბოლონია: ***ტრავმ***-დანიელო კასტადელო, არქიმედ მორლეო, მატია დესტრო

ტორინო: ***ტრავმ***-ჩირო იმობილე, დანილო აველარი

ჯენოა-კარპი

კარპი: ***ტრავმ***-იგორ ბუბნიჩი

ჯენოა: ***ტრავმ***-მატია პერინი, გორან პანდევი, ნიკოლა ბურდისო, ალასანე ტამბე; ***დისკვ***-ეზეკიელ მუნიოსი

ინტერი-ნაპოლი

ინტერი: ***ტრავმ***-არავინ

ნაპოლი: ***ტრავმ***-არავინ; გონსალო იგუაინი

ატალანტა-რომა

ატალანტა: ***ტრავმ***-კარლოს კარმონა; ***დისკვ***-ლუკა გიგარინი, მარტენ დე როონი

რომა: ***ტრავმ***-არავინ

ფიორენტინა-სასუოლო

ფიორენტინა: ***ტრავმ***-ხოუმა ბაბაქარი; ***დისკვ***-დავიდ ასტორი

სასუოლო: ***ტრავმ***-ლუკა ანტეი, სიმონე მისიროლი

უდინეზე-კიევო

უდინეზე: ***ტრავმ***-არავინ

კიევო: ***ტრავმ***-დარიო დაინელი, ფედერიკო მატიელო

იუვენტუსი-პალერმო

იუვენტუსი: ***ტრავმ***-ჯორჯო კიელინი, მარტინ კასერესი; ***დისკვ***-სიმონე ზაზა

პალერმო: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-რობინ ქუაისონი

ვერონა-ფროზინონე

ვერონა: ***ტრავმ***-მოჰამედ ფარესი; ***დისკვ***-სამუელ სუპრაიენი

ფროზინონე: ***ტრავმ***-პაოლო სამარკო; ***დისკვ***-არლინდ აჯეტი, ლეონარდო ბლანჩარდი

ლაციო-უმპოლი

ლაციო: ***ტრავმ***-სტეფანო მაური, რიკარდო კიშნა, შტეფან დე ვრეი

უმპოლი: ***ტრავმ***-მარკო ლივაია; ***დისკვ***-პიოტრ ზიელინსკი

სამპდორია-მილანი

სამპდორია: ***ტრავმ***-კარლოს კარბონერო; ***დისკვ***-ანდრეა რანოკია

მილანი: ***ტრავმ***-მბიაე ნიანგი

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	32	24	4	4	58-17	76
2.ნაპოლი	32	21	7	4	66-27	70
3.რომა	32	18	10	4	67-33	64
4.ინტერი	32	17	7	8	42-30	58
5.ფიორენტინა	32	16	8	8	51-35	56
6.მილანი	32	13	10	9	42-35	49
7.სასუოლო	32	12	12	8	40-35	48
8.ლაციო	32	12	9	11	42-42	45
9.კიევო	32	12	8	12	38-40	44
10.ჯენოა	32	11	7	14	37-37	40
11.ტორინო	32	10	9	13	41-44	39
12.ემპოლი	32	10	9	13	36-43	39
13.ბოლონია	32	10	7	15	31-37	37
14.ატალანტა	32	9	9	14	31-38	36
15.სამპდორია	32	9	9	14	46-49	36
16.უდინეზე	32	9	7	16	29-48	34
17.კარპი	32	6	10	16	29-50	28
18.პალერმო	32	7	7	18	29-57	28
19.ფროზინონე	32	7	6	19	29-60	27
20.ვერონა	32	3	13	16	27-54	22

საფრანგეთი

16.04 პსჟ-კაენი	1.4	4.5	8.0
16.04 ტრუა-რეიმსი	4.33	4.0	1.73
16.04 ბორდო-ანჟე	1.85	3.3	4.6
16.04 გაზელეკი-ლილი	3.25	3.0	2.37
16.04 ბასტია-სტ.ეტიენი	4.0	3.1	2.05
16.04 ლორიანი-ტულუზა	2.8	3.5	2.4
17.04 ნანტი-მონპელიე	2.4	3.1	3.1
17.04 რენი-გენგამი	1.91	3.5	4.0
17.04 მონაკო-მარსელი	2.15	3.3	3.4

პსჟ-კაენი

პსჟ: ***ტრავმ***-მარკო ვერატი

კაენი: ***ტრავმ***-კრისტიან კოუაკოუ, ჩაკერ ალადური, ჯეფ ლუისი, ვინსენტ ბესა

ტროა-ხეიმსი

ტროა: ***ტრავმ***-კვენტინ ორტონი, იოან მარსიალი, ბაბაქარ გუეი, მორი კონე

რეიმსი: ***ტრავმ***-მოჰამედ ფოფანა, დიეგო, ჰასანე კამარა, ალექს პეჟო

ბორდო-ანჟე

ბორდო: ***ტრავმ***-კლემენტ ჩანტომე, სედრიკ კარასო, ნიკოლას პალოისი, გრეგუარ სეტიჩი

ანჟე: ***ტრავმ***-ვინსენტ მანკო, გუინგოსო, გორან კარანოვიჩი, ფერებორი დორე

გაზელეკი-ლილი

გაზელეკი: ***ტრავმ***-არავინ

ლილი: ***ტრავმ***-მარვინ მარტინი, მაიკ მაინანი

ბასტია-სტ.ეტიენი

ბასტია: ***ტრავმ***-სებასტიან სკილაჩი, ფლორიან რასპენტინო, ლასანა კულიბალი, ჟულიენ რომანი

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-ალექსანდერ ტოფტი, ფრანკ ტაბანუ, ჯონათან ბრისონი, რომან ჰამუმა, რობერტ ბერიჩი

ლორიანი-ტულუზა

ლორიანი: ***ტრავმ***-ვინსენ ლე გოფი, ჰამადუ კარამოკო, მორიკე ფოფანა, ვესლი ლაუტოა

ტულუზა: ***ტრავმ***-ალეკსანდარ პესიჩი, სომალია

ნანტი-მონპელიე

ნანტი: ***ტრავმ***-ალეხანდრო ბედოია, რემი რიო, ბირამა ტურე, ალექსის ელანდი, ვალენტინ რონიე

მონპელიე: ***ტრავმ***-კევინ ბერიგო, პოლ ლასნე

ხენი-გენგამი

რენი: ***ტრავმ***-აბდულაიე დიალო, პოლ ნტეპი, ედსონ მექსე

გენგამი: ***ტრავმ***-ლიონელ მატისი, ნიკოლას ბენეზეტი, დორიან ლევო, ნილ დე პოუვი

მონაკო-მარსელი

მონაკო: ***ტრავმ***-ალმამი ტურე, ჟოაო მოყტინიუ, მარიო პასალიჩი

მარსელი: ***ტრავმ***-ლასანა დიარა, აბუ დიაბი

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	33	26	5	2	83-18	83
2.ლიონი	33	16	7	10	54-34	55
3.მონაკო	33	14	13	6	48-40	55
4.ნიცა	33	15	8	10	50-37	53
5.რენი	33	13	12	8	50-42	51
6.სტ.ეტიენი	33	15	6	12	39-34	51
7.ლილი	33	12	13	8	33-25	49
8.ანჟე	33	12	10	11	35-32	46
9.კაენი	33	14	4	15	35-44	46
10.ნანტი	33	11	11	11	30-35	44
11.ბასტია	33	12	7	14	31-37	43
12.ბორდო	33	10	13	10	41-50	43
13.ლორიანი	33	10	12	11	45-51	42
14.მარსელი	33	8	16	9	43-38	40
15.გენგამი	33	10	9	14	39-49	39
16.მონპელიე	33	10	7	16	38-42	37
17.რეიმსი	33	9	9	15	37-48	36
18.გაზელეკი	33	7	13	13	31-45	34
19.ტულუზა	33	7	11	15	38-49	32
20.ტროა	33	2	8	23	22-72	14

მოამზადა მისეილ ყორეყოლიანმა

